საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოლშევიკი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 21-22 ივლისი . 2021 წ. №159-160 (9278-9279) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის პრეზიდენტების „ფიცი“ პეტრას ციხეზე...

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამი ასოცირებული ქვეყნის — საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის პრეზიდენტებმა პეტრას ციხეზე ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული ქვეყნის პრეზიდენტების დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სამ ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების მიზანი აერთიანებს.

„ევროპულ ინტეგრაციას ჩვენი ქვეყნებისთვის ალტერნატივა არ გააჩნია და ამ სუვერენულ არჩევანზე ვერც ერთი მესამე მხარე გავლენას ვერ მოახდენს. ევროკავშირთან ურთიერთობაში ჩვენ უკვე მივაღწიეთ მნიშვნელოვან პროგრესს. ჩვენ ზურგს გვიმაგრებს ჩვენი ხალხების ძლიერი სურვილი, გავხდეთ ევროპული ოჯახის ნაწილი და ერთად ვართ ჩვენს მისწრაფებაში, ვიმუშაოთ საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროპული პერსპექტივის აღიარებისთვის, რომელიც ევროკავშირში ჩვენი სამი ქვეყნის მომავალ წევრობას გაუხსნის გზას“...

სალომე ზურაბიშვილი:

საქართველოს ევროპული მომავალი გარდაუვალია, ეს არის საკითხი, რომელზეც პოლარიზაცია ან პოლიტიკურ პარტიებს შორის დებატები არ ხდება!

③

ირაკლი ღარიბაშვილი:

შავი ზღვის რეგიონი არის კონფლიქტის მართვის მიკროსამყარო...

②

პოლიტიკური მანანწალა სააკაშვილი კიდევ ერთხელ ცდილობს ქვეყნის არევას!

④

საქართველოს პატრიარქის თხოვნა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა!..

⑤

რუსეთის პატრიარქს, ცხინვალიდან კიდევ ერთი პატიმრის გათავისუფლებას სთხოვენ





ვოლფ მესინგი:

„როცა სხვის აზრებს ვკითხულობ...“

⑨

მაინც ვინ იყო ვოლფ მესინგი — კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა თითქმის მითიურ პერსონაჟად, რაში მდგომარეობდა მისი მოღვაწეობის არსი? სწორედ ამის გარკვევას ვეცდებით მისსავე მონათხრობის საფუძველზე.

რა აკავშირებთ მიქელგაბრიელის ცელს და რევოლუციონერი კამოს მეინუს?!

⑥

შარლ მიშელი: ევროკავშირი თქვენთანაა – გპირდებით, რომ ევროკავშირი ძლიერ და სანდო პარტნიორად დარჩება!

ევროკავშირი **თქვენთანაა, სრულ სოლიდარობას გიცხადებთ! ყველას ერთად გპირდებით, რომ ევროკავშირი ძლიერ და სანდო პარტნიორად დარჩება. იმედი გვაქვს, ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებთ,** — ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე — „საქართველოს ევროპული გზა“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

— 2009 წელს პრაღის სამიტზე გადავწყვიტეთ აღმოსავლეთ პარტნიორობის შექმნა და დღეს, 12 წლისთავზე ჩვენი აღმოსავლეთ პარტნიორობა უკვე რეალობად იქცა და სარგებელს აძლევს ყველა ამ ქვეყნის მოქალაქეს. ჩვენ გვაქვს საერთო დღის წესრიგი, ჩვენი საერთო მისწრაფებები და დეკემბერში ჩვენ გვექნება შემდეგი აღმოსავლეთი პარტნიორობის სამიტი ბრიუსელში და თქვენ ყველა გპირდებით, რომ ევროკავშირი დარჩება ძლიერ და სანდრო პარტნიორად თქვენი ქვეყნებისთვის. იმედი გვაქვს, ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებთ.

ევროკავშირი თქვენთანაა, სრულ სოლიდარობას გიცხადებთ! აქ ჩვენ ვგულისხმობთ იმ გამოწვევებს, რომელიც ჩვენი საერთო მიზნისკენ გვინათებს გზას. ჩვენ გვაქვს საერთო დღის წესრიგი, საერთო მისწრაფებები, საჭიროებები. დეკემბერში კი ჩვენ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი გვექნება და თქვენ ყველას ერთად გპირდებით, რომ ევროკავშირი დარჩება ძლიერ და სანდო პარტნიორად“.

მან ასევე აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებები, თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, პრესის დაცულობა — ეს ის ფასეულობებია, რომელიც კეთილდღეობის საუკეთესო გარანტიაა.

ბათუმში მე-17 საერთაშორისო კონფერენცია „ევროკავშირის მიზიდულობის ძალა და რეგიონის ტრანსფორმაცია“ გაიხსნა. ღონისძიება საგარეო საქმეთა მინისტრმა გახსნა. სესიაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მოლდოვის, უკრაინისა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტები.

კონფერენციაზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ევროატლანტიკურ სივრცეში არსებული გამოწვევები, შესაძლებლობები და მოკავშირეებს შორის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები. სამმა ასოცირებულმა ქვეყანამ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას.

* * *

დამოუკიდებლობისა **და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე ერთი თაობის დროს მანძილი თქვენს საზოგადოებებსა და ევროკავშირს შორის უპრეცედენტოდ შემცირდა,** — ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, ევროკავშირი საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ყველაზე ერთგული პარტნიორია მეტი დემოკრატიისთვის და სტაბილურობისთვის.

„საქართველო, მოლდოვა და უკრაინა უკვე 30 წელია, დამოუკიდებელნი არიან. ერთი თაობა, რომელმაც ძალიან ძლიერი ძალისხმევით მიაღწია წინსვლას, ერთი თაობა, რომელიც განსაზღვრავს მომავალს და აშენებს საკუთარ სივრცეს კეთილდღეობის თანამშრომლობის, ამ საერთო ფასეულობების საფუძველზე, და ეს არ ყოფილა იოლი გზა. ეს სულისკვეთება მიმდინარეობდა დესტაბილიზაციის, აგრესიის, გამოწვევების ფონზე. ევროკავშირი თქვენთან არის და სრულ სოლიდარობას გიცხადებთ. აქ ჩვენ ვგულისხმობთ იმ გამოწვევებს, რომელიც ჩვენი საერთო მიზნისკენ გვინათებს გზას“ ვახსენე ერთი თაობა დამოუკიდებლობისა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. **ამ ერთი თაობის დროს მანძილი თქვენს საზოგადოებებსა და ევროკავშირს შორის უპრეცედენტოდ შემცირდა. ევროკავშირი არის თქვენი ყველაზე ერთგული პარტნიორი უფრო მეტი დემოკრატიისთვის, უფრო მეტი სტაბილურობისთვის და მეტი კეთილდღეობისთის, და რაც მთავარია, თქვენი ქვეყნის მოსახლეობის სასარგებლოდ“,** — აღნიშნა შარლ მიშელმა.

შავი ზღვის რეგიონი არის კონფლიქტის მართვის მიკროსამყარო...

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა

...დღეს **აქ უამრავი მეგობარი შემოგვიერთდა საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას ევროკავშირის მისწრაფებებზე სასაუბროდ. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ ჩვენი ოცნებები რეალობად იქცეს. მოუთმენლად ველი განახლებული ტრანსატლანტიკური დღის წესრიგის განხილვას და მისი მნიშვნელობის შეფასებას საქართველოსა და რეგიონისთვის.**

მოდით, ცოტა ხნით გავიაზროთ გასული წლის გაკვეთილები და ჩვენი კოლექტიური ბრძოლა პანდემიის წინააღმდეგ. ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის წყალობით, ჩვენ ეფექტურად გავიკვლევთ გზას საერთო გლობალურ გამოწვევებში. ჩვენ წინ დავუდექით გამოწვევას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ერთი წუთითაც ვერ მოვეშვებით და ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ხალხი უსაფრთხოდ ვამყოფოთ.

ჩვენ ასევე ვიცით, რომ პანდემიის გარდა სხვა საფრთხეებიც გვაქვს, რომლებიც ისეთივე დესტაბილიზაციას იწვევს, როგორც თავად ვირუსი. მიმდინარე წელს დედამიწაზე დრამატული გეოპოლიტიკური მოვლენების განვითარება გრძელდებოდა. რუსეთი არ შეჩერებულა დესტაბილიზაციის მცდელობებში — შეერთებულ შტატებში არჩევნებიდან დაწყებული, უკრაინით დამთავრებული — ისევე როგორც საქართველოში, სადაც რუსეთი კვლავ განაგრძობს ჩვენი სუვერენული ტერიტორიის 20%-ის უკანონო ოკუპაციას.

აშკარაა, რომ შავი ზღვა რჩება საჭადრაკო დაფის დინამიურ, რეგიონულ წინა ხაზზე. სწორედ ამიტომ ხართ აქ და სწორედ ამიტომ არის ეს კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანი. შავი ზღვის რეგიონი არის კონფლიქტის მართვის მიკროსამყარო, რადგან თუ აქ მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას შევძლებთ, ამის გაკეთება სხვაგანაც შეგვეძლება. ჩვენი მთავრობის ხედვა გულისხმობს ჩვენი რეგიონის „კონფლიქტების რეგიონიდან“ „შესაძლებლობების რეგიონად“ გარდაქმნის ხელშეწყობას.

ამ გამოწვევების მიუხედავად, ჩვენ პირნათლად ვასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კონტექსტში. ჩვენი თანამშრომლობა ევროკავშირთან ასეთი ენერგიული არასდროს ყოფილა. ჩვენ დავწინაურდით ევროპული ინტეგრაციის გზაზე ევროკავშირთან და საქართველოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვადასხვა სფეროში და გავაგრძელეთ ჩვენი აქტიური მონაწილეობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიმართულებად მიგვაჩნია საქართველოსა და მთელი ჩვენი რეგიონისთვის.

ახლახან გამოცხადებული აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტები 2020 წლის შემდგომ ახალ შესაძლებლობებს უხსნის საქართველოს ევროკავშირთან კავშირების გაძლიერების მიმართულებით, შავი ზღვის მასშტაბით სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესების გზით. აღმოსავლეთ პარტნიორობა ასევე დაეხმარება 80 000 მცირე და საშუალო ზომის ბიზნესს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის სარგებლიანობის სრულად გაცნობიერებაში. ნება მომეცით, მადლობა გადავუხადო ევროკავშირს, რომელიც მზად არის, 3.9 მილიარდი ევრო გამოყოს საქართველოსთვის, „ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის“ ფარგლებში, მომდევნო 7 წლის განმავლობაში. ეს ძალისხმევა ემსახურება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ფიზიკური მანძილის შემცირებას, ასოცირების შეთანხმების სარგებლის სრულ გაცნობიერებას და ამ ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობის გაზრდას.

ასოცირების შეთანხმების განხორციელება კვლავ რჩება ჩემი მთავრობის დღის წესრიგის საკვანძო საკითხად. ჩვენ გულმოდგინედ ვაგრძელებთ რეფორმებს ევროკავშირთან უფრო ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების, სამართლებრივი დაახლოებისა და მარეგულირებელი ნორმების ევროკავშირის დირექტივებთან თავსებადობისთვის. აუცილებელია, რომ ჩვენ მეტი კავშირები დავამყაროთ ევროკავშირთან დარგობრივი პოლიტიკის დონეზე და საერთო სფეროების ფარგლებში.

როგორც მოგეხსენებათ, ჩემმა მთავრობამ ამბიციური პირობა დადო 2024 წელს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის წარდგენისთვის ქვეყნის მოსამზადებლად. დარწმუნებული ვარ, რომ რეფორმების გაგრძელებით, ასოცირების შეთანხმების სტაბილური განხორციელებით და ევროკავშირთან ეტაპობრივი დაახლოებით, ამ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

ატლანტის ოკეანის იქით, შეერთებულ შტატებს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. პრეზიდენტმა ბაიდენმა კვლავ დაამყარა კავშირი ევროკავშირში თავის კოლეგებთან და პრეზიდენტ პუტინსაც შეხვდა შეერთებული შტატების გლობალური ჩართულობის განახლებულ ფორმატში. მე არაერთხელ შევხვედრივარ პრეზიდენტ ბაიდენს. ის იცნობს საქართველოს და ამ რეგიონს. ეს დიდი უპირატესობაა საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების კონტექსტში და, თავის მხრივ, პოზიტიური მოვლენაა მთელი რეგიონისთვის.

დიპლომატიურ ფრონტზე, შეერთებულ შტატებთან გუნდური თანამშრომლობით, ჩვენ ცოტა ხნის წინ შევძელით სომეხი პატიმრების გათავისუფლება, აზერბაიჯანში ნაღმების უსაფრთხო განეიტრალების უზრუნველსაყოფად საჭირო ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ. დიპლომატია წარმატებით მუშაობს ძლიერ თავდაცვასა და ურთიერთდახმარებასთან ერთად.

დღეს ჩვენი დემოკრატია ფორმაშია ევროკავშირისა და ამერიკელი მეგობრების ძალისხმევით, რომელსაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ხელმძღვანელობს. განახლებული მრავალმხრივი მხარდაჭერისა და ფინანსური დახმარების შედეგად, ნორმალური მდგომარეობა ბრუნდება, დემოკრატია მუშაობს და ჩვენს ეკონომიკაში აღმავლობა იწყება.

გლობალური პანდემიით შექმნილი გამოწვევის შედეგი ის არის, რომ ყველამ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი პირობისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უფრო ფართო განზომილებაში. დიახ, საკუთარი ხალხის უსაფრთხოება, დაცულობა და ჯანმრთელობა ჩვენი უპირველესი პრიორიტეტია, მაგრამ მათი მომავალი მსოფლიოში ჩვენს წარმატებულ თანამშრომლობას უკავშირდება. ეს არის ჩვენი ვალდებულება ჩვენი ხალხის წინაშე და ეს არის ჩვენი ვალდებულება თქვენს წინაშე. ამიტომ, უდავოდ შეგიძლიათ დაეყრდნოთ საქართველოს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ გადამწყვეტ როლს, რომელსაც ევროკავშირი და შეერთებული შტატები ასრულებენ საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიმართულებით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ საერთაშორისო ფორმატში მხოლოდ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უზრუნველყო მუშაობა და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საოკუპაციო ძალების პროვოკაციების აღკვეთას 2008 წლის რუსული აგრესიის შემდეგ. ევროკავშირი და შეერთებული შტატები იყვნენ სამაგალითო პარტნიორები ჩვენი უსაფრთხოების, ჩვენი ეკონომიკის და ჩვენი დემოკრატიის განმტკიცების მიმართულებით. ჩვენ ახალგაზრდა დემოკრატია ვართ, მაგრამ ვუსმენთ, ვსწავლობთ და ვვითარდებით, თან ვცდილობთ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მეტ ინტეგრაციას.

მოდით, აქ ყველამ დავდოთ პირობა, რომ ჩვენს რეგიონს შესაძლებლობების ოაზისად ვაქცევთ და არ დავტოვებთ კონფლიქტების რეგიონად. ყველას დიდ მადლობას გიხდით საქართველოში ჩამოსვლისთვის. გმადლობთ, მსოფლიოს დახმარებისთვის, რათა ის დაუბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობას. გმადლობთ, ჩვენი კოლექტიური უსაფრთხოების განვითარებისათვის.

ბათუმი, 2021წ. 19 ივლისი

სალომე ზურაბიშვილი:

საქართველოს ევროპული მომავალი გარდაუვალია, ეს არის საკითხი, რომელზეც პოლარიზაცია ან პოლიტიკურ პარტიებს შორის დებატები არ ხდება!

საქართველოს ევროპული მომავალი გარდაუვალია, ერთი საკითხი, რომელზეც არ ხდება პოლარიზაცია ან დებატები პოლიტიკურ პარტიებს შორის, არის კონსენსუსი და არასდროს ვკამათობთ ამაზე, ჩვენი მისწრაფებაა, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„დღეს არის იმის მაგალითი, რამდენად სერიოზულია ჩვენი სერთო ნაკისრი ვალდებულება, დასტური და მაგალითია იმისა, რომ ევროპული მომავალი არის გარდაუვალი. ამ ფაქტით, პანდემიის, შეზღუდვების მიუხედავად, არა მხოლოდ განვაახლეთ, არამედ ვაგრძელებთ ბათუმის საერთაშორისო კონფერენციას და უმაღლეს დონეზე ვატარებთ მას. პირველად ხდება ოთხი პრეზიდენტის მონაწილეობით ასეთი ღონისძიების ჩატარება. ყველა ჩვენგანისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკისრი გვაქვს ახალი ვალდებულებები ჩვენი საერთო მიზნის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულება. საქართველოს ევროპული მომავალი და არჩევანი არის გარდაუვალი და განუყოფელია ჩვენი ისტორიისგან, განუყოფელია ჩვენი ფასეულობებისგან, ის არის ყველა ჩვენს კონსტიტუციურ დებულებებში აღქმული. დამოუკიდებლობის დღიდან ეს იქნა გაცხადებული, როგორც ჩვენი ხალხის არჩევანი. ერთი საკითხი, რომელზეც პოლარიზაცია ან დებატები პოლიტიკურ პარტიებს შორის არ ხდება, არის კონსენსუსი და არასდროს ვკამათობთ ამაზე, მიუხედავად გამოწვევებისა, და ოკუპაციის გამოწვევის მიუხედავად (ბატონ ზელენსკის მადლობას ვუხდი, რომ მიიღო ჩვენი მოწვევა), ჩვენი მისწრაფება არასდროს დამდგარა კითხვის ქვეშ, ეს არჩევანი, ევროპული გზის არჩევანი ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისთვის ალტერნატივების გარეშეა. ბათუმის კონფერენცია არის სიგნალი, რომ ჩვენ მარტო არ ვართ ამ ძალისხმევაში, ჩვენ მხარს გვიჭერენ, გვაძლიერებენ“!..

20 ივლისის 2 616 შემთხვევა საგანგაშოა – ცუდი ტენდენცია გვაქვს!

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე გუშინ განაცხადა.

„გვაქვს ძალიან ცუდი ტენდენცია, ერთი მხრივ, გვინდა ეკონომიკა, პროგრესი და მოქალაქეების კეთილდღეობა შევინარჩუნოთ, გვინდა, რომ ყველა იყოს ბედნიერი და გახარებული, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთადერთი მარტივი თხოვნა გვაქვს — გთხოვთ, აიცერით. თუ მთავრობას ჩვენი მოქალაქეები გვერდით არ დაუდგებიან, ჩვენ მარტო ვერაფერს გავწვდებით. რაც გასაკეთებელი იყო, ყველაფერი გავაკეთეთ, ვაქცინები იმაზე მეტი გვაქვს, რაც საჭიროა. კიდევ შემოვა“, — განაცხადა პრემიერმა.

„ჩვენი ქვეყანა დაკეტვას ვეღარ გაუძლებს. მოგვიწევს დაკეტვა, ადამიანები დაკარგავენ სამსახურს და შეიქმნება გაუსაძლისი მდგომარეობა. ამიტომ, მინდა, წინასწარ, პრევენციული განცხადებები გავაკეთო. არ მინდა ეს მოხდეს. ამას დაემატება ის, რომ ქვეყანას დასჭირდება ვალის აღება. ეს ტვირთად დააწვება ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს ქვეყანას და ძალიან გართულდება მდგომარეობა. გვაქვს ყველა რესურსი, ყველა საშუალება იმისთვის, რომ ვაქცინაცია მაქსიმალურად სწრაფად ჩავატაროთ. დაახლოებით, 2-3 თვეში შეგვეძლება, 1.5 მილიონი მოქალაქის აცრა. ესაა ჩვენი ამოცანა“, — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

* * *

ჩვენ, როდესაც გადავწყვიტეთ, რამდენიმე თვის წინ, შეზღუდვების მოხსნა, მაშინ, რა თქმა უნდა, ვიხელმძღვანელეთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე!

„ახლაც, თუ რამეს ვაკეთებთ, ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი ხალხისთვის და მათი ინტერესებისთვის. ჩვენს მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა, რა თქმა უნდა, კონკრეტული შედეგი გამოიღო, რაც აისახა იმაში, რომ აპრილის თვეში ჩვენ გვქონდა უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდა — 45%, რაც იყო მართლაც უპრეცედენტო, არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ზოგადად, შეიძლება ითქვას, ევროპის მასშტაბითაც. მაისის თვეში გვქონდა ასევე ძალიან მაღალი ზრდა — 25%-ის ფარგლებში. წინასწარი ინფორმაცია მაქვს, რომ ივნისის თვეშიც გვექნება საკმაოდ მაღალი ზრდა, ეს იქნება ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, დაახლოებით, 15-დან 18%-მდე. საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ პირველი 6 თვის განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გაიზრდება დაახლოებით 12%-ით. ამან, რა თქმა უნდა, დამატებითი რესურსების მობილიზების საშუალება მოგვცა ბიუჯეტში, ამიტომ, ბატონმა ფინანსთა მინისტრმა მოამზადა შესაბამისი ცვლილებაც და წარადგინა პარლამენტში ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი“, — თქვა ბოლოს მთავრობის მეთაურმა.

რომელ ქართველ პოლიტიკოსზე დებს ფსონს ამერიკა?!

ერთ დროს ამერიკამ ფსონი დადო ახალგაზრდა პოლიტიკოსზე — მიხეილ სააკაშვილზე და არ ელოდა, რომ სააკაშვილი ამდენ საფიქრალს გაუჩენდა, განსაკუთრებით, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. დღესაც ამერიკის ისტებლიშმენტში ამერიკის ერთგულების პრიზმაში აკვირდებიან ქართველ პოლიტიკოსებს იმ სამომავლო განზრახვით, ვისზე შეუძლიათ ფსონის დადება.

ამიტომაც მოუხშირეს ქართველმა პოლიტიკოსებმა ამერიკაში ჩასვლას ერთგულების დასამტკიცებლად. მათ შორის, გამონაკლისი არც გიორგი გახარია აღმოჩნდა, რომელიც ვაშინგტონში ჩასვლისას ისეთ მახეში გაება, რომ მესამე პრეზიდენტთან მის კონსპირაციულ შეხვედრაზე აალაპარაკა ყველა, მათ შორის, პრეზიდენტყოფილის უტაქტო შეფასებაც დაიმსახურა.

მთლიანობაში, ვაშინგტონში პარტნიორებთან ვიზიტს გახარია ნაყოფიერად აფასებს — შეხვედრები უშიშროების საბჭოში, ადმინისტრაციაში, წარმომადგენლობითი შეხვედრები.

შეიძლება თუ არა, სააკაშვილის მსგავსად, ასევე, დაიდოს ფსონი გახარიაზე და გახარიასაც სინჯავდეს ამერიკა, რამდენად მყარი პარტნიორი იქნება იგი?!

აქტივისტი **გურამ ფალავანდიშვილი** ამერიკაში ჩვენი პოლიტიკოსების ვიზიტებს სულთნის კარზე სტუმრობად აღიქვამს, როგორც ეს ადრე ხდებოდა, როცა ყველა უმტკიცებდა სულთანს თავის ერთგულებას. **„სხვათა შორის, გახარიას მოადგილე, მეორე ადამიანი პარტიაში, არის ლგბტ-ეების დამცველი ზონდერი ქალბატონი, რომელმაც შსს-ში დაარსა ლგბტ-ეების მოწინააღმდეგე ხალხის დასჯის ორგანიზაცია. ახლა გახარიაც ამერიკაში ჩადის და ამერიკელ პატრონებს ეუბნება, მე თქვენი მონა ვარ, ისინიც არჩევენ, ვინ უფრო მეტად დაემორჩილება. მე არ ვიცი, რამდენით მეტი მონაა გახარია, შეიძლება ნაკლები მონა არ არის ბოკერია, მაგრამ ბოკერია ჩვენმა ხალხმა უკვე შეიძულა. ამერიკელებს კი უნდათ უფრო სიმპათიური მონა, არ არის გამორიცხული, გახარიაზე შეაჩერონ არჩევანი“,** — გვითხრა გურამ ფალავანდიშვილმა.

მისივე შეფასებით, ქართველი ერი რამენაირად უნდა გამოფხიზლდეს. ეს ძალიან რთულია, რადგან მთელი ტელევიზიები ატყუებენ ჩვენს საზოგადოებას, ხალხი ზომბირებულია ისევე, როგორც თავის დროზე ჩვენს საზოგადოებას კომუნისტური პარტია მოსწონდა, რადგან მოტყუებულები იყვნენ. ახლაც ხალხს ჰგონია, რომ ეს ელჩები ჩვენი დამხმარეები არიან, რომ ისინი ებრძვიან რუსეთის ოკუპაციას, სინამდვილეში, ქართველი ერის დაპყრობა მიმდინარეობს. თანაც, დაპყრობა ხდება „ცივილურად“, ძალიან ცუდი ძალის მიერ, რომელსაც თავის ქვეყანაშივე ჰყავს ბევრი მტერი.

„საშინელმა, სატანურმა იდეოლოგიამ უკვე დედა უტირა ევროპას, ამერიკას და სხვა ქვეყნებზეც გადმოვიდა, ანუ თავის გარშემო რაც არის, ყველაფერს ანადგურებს, ამ მდგომარეობაში ვართ ჩვენც. თავის დროზე რუსი კი არ იყო ცუდი, არამედ კომუნისტური პარტია იყო ცუდი რუსეთში, ახლაც ამერიკელი კი არ არის ცუდი და ინგლისელი, არამედ ლგბტ დიქტატურაა ცუდი“, — ამბობს გურამ ფალავანდიშვილი, რომელიც ირწმუნება, რომ **ლევან ვასაძეც** და მისი თანამოაზრენი სწორედ დასავლეთში ხედავენ მოკავშირეებს.

მანანა ნოზაძე

ნათია თურნავა: დესტრუქციული ძალები ვერ ეღირსებიან პრემიერ-მინისტრის გადადგომას!

რა თქმა უნდა, ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის საკითხს არ განვიხილავთ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი ხელისუფლება და ჩვენი პასუხისმგებლობა გამოიხატება იმაში, რომ შესაბამისი ორგანოები — შსს ძალიან ინტენსიურად ახორციელებს საგამოძიებო მოქმედებს და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ყველა, ვინც მონაწილეობდა აგრესიაში, **დაისაჯოს სათანადოდ,** — ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„მათ სურთ, იყოს ქაოსი და არეულობა, რასაც არ დავუშვებთ. ჩვენ პასუხს ვაგებთ, რომ იყოს წესრიგი და განვითარება. ძალიან სამწუხარო ფაქტი იყო, ჩვენ დავგმეთ ძალადობა, მიმდინარეობს გამოძიება. შეიძლება დესტრუქციულ ძალებს სურთ, გადადგეს მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ვერ ეღირსებიან“.

ძალადობისთვის კიდევ 1 ადამიანი დააკავეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის და ჯგუფურად ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე კიდევ ერთი პირი — 2000 წელს დაბადებული ი.წ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ი.წ.-მ მიმდინარე წლის 5 ივლისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, რევაზ თაბუკაშვილისა და გიორგი ჭანტურიას ქუჩების კვეთაზე, „ტვ პირველის“ ოპერატორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ამავე ფაქტზე, სამართალდამცველებმა, 2 პირი დააკავეს — 14 ივლისს, 1988 წელს დაბადებული ვ.ბ., ხოლო 17 ივლისს 1997 წელს დაბადებული ნ.გ., ბრალდებულებმა „ტვ პირველის“ ოპერატორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

5 ივლისს თბილისში დაჭრილი პოლონელი ტურისტი სამშობლოში დაბრუნდა

პოლონელმა მოგზაურმა, რომელიც 5 ივლისს ხეთაგუროვის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის დროს დაშავდა, სარეაბილიტაციო კურსი დაასრულა და თავს კარგად გრძნობს. იაცეკ კოლანკიევიჩი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, სარეაბილიტაციო კურსს ბორჯომში, სასტუმრო ლიკანში გადიოდა და გუშინ სამშობლოში გაემგზავრა.

პოლონელი მოგზაური საქართველოში დაბრუნებას, ტურისტული ადგილების დათვალიერებას და გადაღებას გეგმავს. იაცეკ კოლანკიევიჩი საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ ვიდეობლოგს ამზადებს, რომელსაც სოციალური ქსელებით პოლონელ გამომწერებს გაუზიარებს. იაცეკ კოლანკიევიჩი 5 ივლისს, თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის დროს დაშავდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავდამსხმელი იმ დღესვე დააკავა.

პოლიტიკური მაწანწალა სააკაშვილი კიდევ ერთხელ ცდილობს ქვეყნის არევას!

<u>გეგმა გაწერილია:</u> პირველ რიგში პრემიერი და შს მინისტრი უნდა გადააყენონ, მერე იერიში მმართველ პარტიაზე, ეკლესიასა და საპატრიარქოზე უნდა მიიტანონ...

მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ და ხელისუფლებამ შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი მოაწერა და „ნაციონალები“ ქუჩაში მარტონი დარჩნენ, მათ საკუთარი გეგმების გადაწყობა სწრაფად მოახერხეს და ქუჩის აქციებიდან დებოშის მოსაწყობად პარლამენტში გადაინაცვლეს.

თუმცა, პარალელურად, ნებისმიერ შანსს ხელიდან არ უშვებენ იმისთვის, რომ ქუჩა ისევ აქტუალური გახდეს. თუმცა ისმის კითხვა, როცა ქუჩაში ხალხი არ მოგყვება, მაშინ მიზნის განხორციელება როგორ უნდა მოახერხო? როგორც ჩანს, ამ კითხვას „ნაციონალებიც“ სვამენ და ამიტომ ახალი სამოქმედო გეგმა დაისახეს. ნაციონალებს ოპერატორ **ლექსო ლაშქარავას** ტრაგიკულმა გარდაცვალებამ სულზე მოუსწრო და როგორც სჩვევიათ, მოსახლეობის საინფორმაციო ტერორიც დაიწყეს. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე საათში 4 მედიასაშუალებას საინფორმაციო ომში მოუგო და საზოგადოებას აჩვენა ფაქტები, რომ ოპერატორის გარდაცვალება არა 5 ივლისის ცემამ გამოიწვია, არამედ ეს ოპერატორის პირად პრობლემას უკავშირდებოდა.

რა არის ოპოზიციის რადიკალური ქმედებების მიზანი იმ ფონზე, როცა მოსახლეობა მათ მოწოდებებს არ ჰყვება და ქუჩაში საპროტესტო აქციებზე არ გადის? – ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** აცხადებს, რომ სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი გათვლა საქართველოს მოსახლეობა აღარ არის, რადგან ხედავენ, რომ მათ მოწოდებებზე ხალხი ქუჩაში არ გადის და აქცენტი დასავლეთსა და ამერიკაზე გადააქვთ. ყველაფერს ცდილობენ, რათა საპარლამენტო საქმიანობა ჩაშალონ და საერთაშორისო პარტნიორების ყურადღება მიიქციონ.

„ჩვენს თვალწინ რა პროცესებიც ვითარდება ეს სიახლე არ არის. ამას თქვენთანაც და სხვა მედიასაშუალებებთანაც ვპროგნოზირებდი. როდესაც „ნაციონალებმა“ პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება მიიღეს, მაშინვე ის ვთქვი, რომ ისინი დებოშს და აჟიოტაჟს საპარლამენტო საქმიანობაში შეიტანდნენ. როდესაც ამ პარტიამ დაინახა, რომ პარლამენტში შესვლის შემდეგ ვერანაირ პოლიტიკურ სარგებელს ვერ იღებს და არანაირი პერსპექტივა პოლიტიკური გზით ხელისუფლებაში დაბრუნების არა აქვს, ისინი საკონსტიტუციო ორგანოს დისკრედიტაციაზე გადავიდნენ. რასაც საზოგადოება თვალს პარლამენტში გომელაურის სიტყვით გამოსვლისას ადევნებდა, ეს იყო იაფფასიანი პერფორმანსი, რათა ქვეყნის გადატრიალება მოაწყონ.

ამ დღეებში უამრავ მასალას გავეცანი, რომელსაც სხვადასხვა წყაროებიდან მიგზავნიან. მათ ე.წ. ოპოზიციურ დახურულ ჯგუფებში პირდაპირ მოქმედების გეგმას წერენ. პირველ რიგში, პრემიერი და შს მინისტრი უნდა გადააყენონ. მერე იერიში მმართველ პარტიაზე უნდა მიიტანონ, ამის შემდეგ კი დარტყმას ეკლესიასა და საპატრიაქროზე მოახდენენ. ამ გეგმას არაფერი საერთო, არც სიტყვის თავისუფლების დაცვასთან და არც ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან აქვთ. ერთი სული აქვთ, როგორღაც, ნებისმიერ ფასად, უკან ხელისუფლებაში დაბრუნდნენ“, – ამბობს დავით ქართველიშვილი.

ანალიტიკოსი აცხადებს, რომ როცა რადიკალურმა ოპოზიციამ დაინახა, მოსახლეობა მათ არაფრის ფასად გვერდით არ უდგება და არც ერთი სიტყვის არ სჯერა, ახლა პირდაპირ ფალსიფიცირებული ინფორმაციით დასავლელ ლობისტებზე ზეგავლენის მოხდენა დაიწყეს. ქართველიშვილი ამბობს, რომ სამწუხაროა, გამოგონილი პრობლემების გამო ხელისუფლებას პარტნიორებთან ახსნა-განმარტებების გაკეთება უწევს. რადიკალური ოპოზიცია ყველაფერს ცდილობს იმისთვის, რათა ახლა დასავლეთიდან ზეწოლა წამოვიდეს, ხელისუფლება და მოსახლეობა რაღაცა სანქციებით შეაშინონ და ამის ფონზე „ოცნება“ ნელ-ნელა თავიდან მოიშორონ.

„უნდათ, რომ ხალხი არარსებული სანქციებით და ეკონომიკური წნეხით შეაშინონ. განწყობას ქმნიან, თითქოს ეგაა და დავიქცევით. დასავლეთი და ამერიკა ჩვენზე ხელს აიღებს და ყველაფერი დამთავრდება. დარწმუნებული ვარ, რომ დასავლელი პარტნიორების დიდი ნაწილი კარგად ხვდება, ამ ჯგუფების დაკრულს თუ აჰყვებიან, საქართველოში მძიმე სიტუაცია შეიძლება მივიღოთ. ჩვენი ქვეყანა ერთადერთი ბლოკპოსტია, სადაც დასავლეთს რეგიონში საკუთარი ინტერესების გატარება შეუძლია. დასავლური კურსი ქართველი ხალხს არჩევანია და ამას ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. ამიტომ ამ დესტრუქციული ოპოზიციის სახეს იქაც კარგად და მალე დაინახავენ“, – ამბობს ქართველიშვილი.

* * *

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** კი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია ტრაგიკომიკურ იაფფასიან აქციებს აგრძელებს, რასაც წლების განმავლობაში ვუყურებთ. აბაშიძე for.ge-სთან ამბობს, რომ საზოგადოება კარგად ხედავს ე.წ. ჟურნალისტები პოლიტიკურ მოწოდებებს აკეთებენ და რევოლუციის მოწყობით იმუქრებიან, რის გამოც აქციაზე მოსახლეობა არ მიდის. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ხელოვნურად გამოგონილი ფასეულობებით და ღირებულებებით ქვეყნის მოსახლეობა გარეთ ვერ გამოიყვანეს, რადგანაც ყველას კარგად ახსოვს, ვინ რას წარმოადგენს და ვის მხარეს არიან.

„იმ ტელეძალადობამ და ტერაქტმა ფსიქიკაზე, რასაც ჩვენს მოსახლეობაზე ე.წ. ჟურნალისტები და მედია ახორციელებს, ასახვა როგორც ჰპოვა, ვნახეთ. არავინ იფიქროს, რომ ძალადობას ვინმე ამართლებს და რაიმე სახით ამას ვემხრობით, უბრალოდ, მას ახსნა აქვს. ეს ადამიანები გამოსავალს კი არ ეძებენ, არამედ ცდილობენ უკრაინელ მაწანწალას მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური ქულები დაუწერონ. ეს უსირცხვილო ადამიანი კიდევ ერთხელ ცდილობს, როგორც ქვეყნის არევას, ასევე იმას, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის ბზარები გააჩინოს. ეს პოლიტიკური მაწანწალა ამ უვიცებს კვებავს და ასწავლის, ქვეყანას როგორ უნდა ებრძოლონ, აჯანჯღარონ. თუ მათ სიმართლეს არ მიყვები და კითხვებს დასვამ, მოგაშთობენ და გაგაქრობენ. ამ ყველაფერს მოსახლეობა კარგად ხედავს, ამიტომაც დგანან ცარიელ ტრიბუნასთან“, – ამბობს აბაშიძე.

ლიკა ბერიკაშვილი

ძალიან სამარცხვინო!

ღარიბაშვილი ამ აქციის შედეგად არ გადადგება!

„5 ივლისის მოვლენებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა მხარეს. იმისთვის, რომ მივიღოთ ზუსტი და ამომწურავი პასუხი, ვის რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ვინ გაართვა თავი და ვინ ვერა, საჭიროა შეიქმნას საპარლამენტო, საგამოძიებო კომისია, რომ ყველა კითხვას პასუხი გაეცეს“, – ამის შესახებ ანალიტიკოსმა **ზაალ ანჯაფარიძემ** განაცხადა.

– 18 ივლისს, პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურისთვის უნდა მოესმინათ, თუმცა, ოპოზიციისა და მედიის წარმომადგენლების ერთგვარი პერფორმანსის შემდეგ, მოსმენა ჩაიშალა.

– ოპოზიციას აქვს აბსოლუტურად ყველა ბერკეტი იმისთვის, რომ დაიბაროს ამ კომისიაზე ყველა მხარე, მინისტრიდან დაწყებული და დაუსვას კითხვები. სწორედ ამის მერე გაკეთებულიყო ის დასკვნები, საჭიროა თუ არა საკადრო გადაადგილებები, ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება და აუცილებელია თუ არა ამ თუ იმ პირის გადადგომა. ამის სამაგიეროდ, ჩვენ ვიხილეთ ის, რაც 18 ივლისს ვიხილეთ, რაც არის ძალიან სამარცხვინო მოვლენა და საქართველოს და ჩვენს პოლიტელიტას არ წარმოაჩენს ისეთად, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონდეს ევროკავშირში.

თუკი არსებობდა, თუნდაც ოდნავი საფრთხე, რომ რადიკალური ჯგუფები ასეთ ხისტ ქმედებებზე წავიდოდნენ, 5 ივლისს უნდა ყოფილიყო დამატებითი ზომები მიღებული.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ იყო უსაფრთხოების ზომები წინასწარ მიღებული? არ ჰქონდა ხელისუფლებას ინფორმაცია?

– ხელისუფლების წარმომადგენელმა თქვა, რომ ვერ წარმოიდგენდნენ, თუ ასეთი მასობრივი თავდასხმა იქნებოდა ჟურნალისტებზე, აქციების დროს ასეთი რამ, არასდროს მომხდარა. მოლოდინი, რომ სწორედ ჟურნალისტებისკენ იქნებოდა მიმართული აგრესია, არ ჰქონდათ, თუმცა, ეს მთლად დამაჯერებელი გამართლება არ არის. ცუდ სცენარს უნდა ელოდო, როდესაც ასეთი ვითარებაა.

რადგან პოლიცია ელოდებოდა, რომ ძირითადი მოვლენა განვითარდებოდა 5 საათზე, როდესაც დანიშნული იყო „პრაიდი“ და ასევე მისი მოწინააღმდეგეების შეკრება, როგორც ჩანს, არ მიაქციეს ყურადღება, რომ დღის პირველ ნახევარში მოხდებოდა ის, რაც მოხდა.

– აქ ჩნდება კითხვა, რატომ მაინცდამაინც ჟურნალისტები? ეს წინასწარ დაგეგმილი იყო?

– აბსოლუტურად გამოვრიცხავ ვერსიას, რომლის კულტივირებაც აქტიურად ხდება ამ ოთხი ტელევიზიისა და მისი მხარდამჭერების მხრიდან, თითქოს ხელისუფლებამ დაგეგმა მედიაზე ანგარიშსწორება. ხელისუფლებაში ვიღაცა ჭკუანაკლული უნდა ყოფილიყო, რომ მას დაეგეშა ვიღაცა, მედიაზე ანგარიშწორება მოეხდინა.

– პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომ „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ჩატარება არ არის მიზანშეწონილი, ძალადობის მაპროვოცირებელ განცხადებად შეფასდა...

– ღარიბაშვილის განცხადებებს ყველა უყურებს საკუთარი სამრეკლოდან. იქიდან გამომდინარე, რომ ფალავანდიშვილი, „ალტინფო“ და სხვა ჯგუფები არ აპირებდნენ გაჩერებას, შესაბამისად, ძალიან მაღალი იყო ალბათობა, რომც გამოჩენილიყო „პრაიდის მარში“ რუსთაველზე, აუცილებლად მოხდებოდა შეხლა-შემოხლა და ღარიბაშვილმა თავი დაიზღვია და გააკეთა განცხადება, რომ კარგი იქნებოდა, ეს „პრაიდი“ არა რუსთაველზე, არამედ სხვაგან ჩატარებულიყო.

ღარიბაშვილი ცდილობდა, როგორც პრემიერ-მინისტრი, მოეწოდებინა „პრაიდის“ აქტივისტებისთვის, რომ თავი აერიდებინათ პირდაპირი შეხლა-შემოხლისგან მათ მოწინააღმდეგე ჯგუფებთან. პირდაპირი მოწოდება ძალადობისკენ და ანგარიშწორებისკენ ვერ დავინახე მის გამოსვლაში.

– როგორ ფიქრობთ, მიმდინარე აქციები გამოიღებს თუ არა შედეგს და ვიხილავთ თუ არა, ღარიბაშვილის თანამდებობიდან გადადგომას?

– მხოლოდ პირველ დღეს, როდესაც ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა, მაშინ ხალხმა, ემოციურ მუხტზე, გამოხატა სოლიდური მხარდაჭერა ამ აქციის მიმართ, მათ შორის იმით, რომ საკმარისი რაოდენობის ადამიანი მივიდა აქციაზე, მაგრამ შემდეგ უკვე, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ მოიქცნენ აქციის ლიდერები და ორგანიზატორები, აშკარად გამოჩნდა, რომ ამ აქციის უკან იმალებოდნენ პოლიტიკოსები და მცდელობაა, რომ ეს აქცია გამოიყენონ პოლიტიკური მიზნებისთვის. იქ ჟღერდება ისეთი მოწოდებები, რომლებიც პირდაპირ თავს ესხმის ეკლესიას, პატრიარქს, საქართველოს საზოგადოებისთვის ასეთი განცხადებები მიუღებელია. იქ არიან ფიგურები, რომლებიც საზოგადოებაში ნდობას არ იწვევენ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც არის, თუ რატომ იკლო აქციაზე დამსწრეთა რაოდენობამ. ღარიბაშვილი ამ აქციის შედეგად არ გადადგება, ის თუ გადადგება, ეს მოხდება ისევ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ზეწოლითა და მოთხოვნით.

– და იქნება დასავლეთის მხრიდან ეს ზეწოლა და მოთხოვნა, როგორ ფიქრობთ?

– ბოლო დროს, ისეთი განცხადებები კეთდება საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, მაფიქრებს იმაზე, რა პროცესები შეიძლება განვითარდეს, ზოგადად.

– უნდა ელოდოს საქართველო სანქციებს აშშ-დან?

– ეს სანქციები ისევ ოპოზიციის მიერ არის კულტივირებული. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერმა, აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა თქვა, სანქციები არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის. ამის მეტი არაფერი არ თქმულა. გამგები, ალბათ, გაიგებს.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

ზაზა გახელაძე:
რა მაქვს რუსეთისთვის მადლობის სათქმელი?!

მე იმათ (რუსებს) მადლობა რაში გადავუხადო? ჩემს მიწაზე, რომელიც ჩემმა წინაპრებმა დაიცვეს თავიანთი სისხლისა და ოფლის ფასად, დამიჭირეს და დამჭრეს. მე რა მაძვს მათთვის მადლობის სათქმელი?!, — განაცხადა „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ოკუპანტების ტყვეობიდან გათავისუფლებულმა ზაზა გახელაძემ.

ინტერვიუში მან უშუალოდ დაკავების ეპიზოდსა და ტყვეობის რთულ ერთ წელიწადზე ისაუბრა.

გახელაძე მადლობას უხდის ყველას, ვინც მის გათავისუფლებაზე იმუშავა და იმედს გამოთქვამს, რომ ოკუპანტების ტყვეობაში მყოფები — ირაკლი ბებუა და გენადი ბესტაევი დაუბრუნდებიან ოჯახებს.

ცნობისთვის: გასულ წელს დაკავებული 34 წლის ზაზა გახელაძე ცხინვალის იზოლატორიდან დე ფაქტო პრეზიდენტის „შეწყალების“ საფუძველზე 14 ივლისს გაათავისუფლეს. მას ოსური სასამართლოს მიერ „სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთისა“ და „სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებზე თავდასხმის“ ბრალდებით 12,5-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

ოსური მხარის ინფორმაციით, გახელაძის სანაცვლოდ ქართულმა მხარემ ოსურს გახელაძის სანაცვლოდ ვადიმ გობოზოვი გადასცა, რომელიც განზრახ მკვლელობაში იყო ბრალდებული. საქმე გასული წლის სექტემბერში ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან, ნეიტრალურ ტერიტორიაზე მომხდარ ინციდენტს ეხება. მაშინ 39 წლის ალან მუზაშვილმა სიტყვიერი დაპირისპირების შემდეგ 64 წლის ალიკ გობოზოვს ფიზიკური დაზიანებები მიაყენა, გობოზოვის ვაჟმა — რუსეთის 40 წლის მოქალაქე ვადიმ გობოზოვმა კი საპასუხოდ ბლაგვი საგნისა და ცივი იარაღის გამოყენებით მამამისზე თავდამსხმელი სასიკვდილოდ დაჭრა, — იუწყებოდა მაშინ რუსული მედია.

თავის მხრივ, საქართველოს შსს-ში მაშინ საქმის სსკ-ის 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრვის თაობაზე განაცხადეს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ვადიმ გობოზოვი წინასწარ პატმრობაში იმყოფებოდა. მის საქმეს გორის საქალაქო სასამართლო განიხილავდა. როგორც პორტალი Qartli.ge წერს, ბრალდებულმა და მისმა ადვოკატმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოითხოვეს და ივნისის თვის მდგომარეობით, მიმდინარეობდა მათი შერჩევა.

ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს გუშინდელი განცხადების თანახმად, გობოზოვი „სამხრეთ ოსეთის მოქალაქეა“, რომელიც გასული წლის სექტემბერში „ნეიტრალური ტერიტორიიდან, ზემო ლარსიდან ქართული სპეცსამსახურების მიერ იყო გატაცებული და პატიმრობაში იმყოფებოდა“.

ცხინვალის ვერსიით, დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა ზაზა გახელაძის გათავისუფლება და გობოზოვში გაცვლა „სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის შუამდგომლობითა და ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე“ გადაწყვიტა.

გათავისუფლების შემდეგ გობოზოვი ცხინვალში დე ფაქტო პრეზიდენტ ბიბილოვს შეხვდა და მადლობა გადაუხადა.

** აღსანიშნავია, რომ ქართული მხარე ზაზა გახელაძის გათავისუფლების დეტალებსა და ოსური მხარისთვის გობოზოვის გადაცემაზე საუბარს თავს არიდებს.**

„ბევრ ვერსიას მოუსმენთ. ჩემი თხოვნაა, არ მოუსმინოთ, შეხედეთ შედეგს“, — განაცხადა თემის კომენტირებისას პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რუსეთის პატრიარქს, ცხინვალიდან კიდევ ერთი პატიმრის გათავისუფლებას სთხოვენ



საქართველოს პატრიარქის თხოვნა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა!..

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა ამნისტიის შესახებ კანონპროექტი ჩააგდო. სესიაზე ორი პროექტი გაიტანეს და ვერც ერთმა ვერ მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა. **დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატები ვერ შეთანხმდნენ, უნდა მოხვედრილიყო თუ არა ის მუხლი კანონპროექტში, რა მუხლითაც დე ფაქტო ყოფილი კომუნიკაციების მინისტრი გიორგი კაბისოვია გასამართლებული.** ეს არის მუხლი კორუფციის და სახელმწიფო ქონების მითვისების შესახებ. კაბისოვს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი და ნახევარი უკვე მოხდილი აქვს. კაბისოვი და მისი ოჯახი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური მოტივით იდევნებიან. კაბისოვი დე ფაქტო პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის ოპონენტია, იგი დე ფაქტო ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მეგობარი და მისი ხელისუფლების მინისტრი იყო. დე ფაქტო პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი დავით სანაკოევი ამბობს, რომ ვერც სახელისუფლებო და ვერც ოპოზიციის კანონპროექტმა ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა.

„ამნისტიის საკითხი შემდეგნაირად განვიხილეთ: ორი პროექტი იყო შემოტანილი. პირველი პროექტი, უცვლელი სახით, შეიმუშავა კანონმდებლობის, კანონიერების და ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტმა, ხოლო მეორე პროექტი, რომელშიც დეპუტატთა ჯგუფმა შეიტანა ცვლილებები. ეს ცვლილებები შევიდა იმისთვის, რომ პატიმრები, რომლებიც საშუალო სიმძიმის და მსუბუქი მუხლებით არიან გასამართლებული და ის პატიმრებიც, რომლებიც იბრძოდნენ და სახელმწიფო ჯილდოები აქვთ მიღებული ამ ამნისტიის ფარგლებში მოქცეულიყვნენ. კენჭისყრის დროს ერთ-ერთ პროექტს უნდა მიეღო 18 ხმა, ანუ უმრავლესობა. მაგრამ არც ერთ პროექტს არ მიუღია ხმების უმრავლესობა. ეს ნიშნავს, რომ საკითხი არ გავიდა და ახლო მომავალში მისი განხილვა აღარ მოხდება. აქ ხელისუფლებისა და სამთავრობო პარტიების გაღიზიანების მთავარი ფაქტორი იყო გიორგი კაბისოვის ფიგურა“, — უთხრა სანაკოევმა „ეხო კავკაზას.“

დე ფაქტო პარლამენტში ამნისტიის კანონპროექტების განხილვამდე ერთი დღით ადრე, დე ფაქტო დეპუტატებს თვითაღიარებული ალანიის ეპარქიის სასულიერო პირებმაც მიმართეს და გიორგი კაბისოვის ამნისტირებულთა სიაში შეყვანა სთხოვეს.

„სამღვდელოება და ეპარქიის მრევლი ხალხის მიერ არჩეულებს სთხოვენ, შეიწყალონ და ალანთა ეპარქიის მრევლის წარმომადგენელი გიორგი კაბისოვი შეიტანონ ამნისტირებულთა სიაში. ეს კეთილი საქმე ხელს შეუწყობს ოსეთის ხალხის კონსოლიდაციას და ჩვენს საზოგადოებაში მშვიდობისა და სიკეთის დამკვიდრებას“, — წერია სამღვდელოების მიერ გავრცელებულ მიმართვაში.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა დე ფაქტო პარლამენტის მიერ ამნისტიის კანონპროექტის ჩაგდების და საქართველოს მოქალაქის ზაზა გახელაძის შეწყალების შესახებ, გიორგი კაბისოვის ოჯახი ამ მოვლენას გამოეხმაურა. ყოფილი ე.წ. მინისტრის დედა მარინა კაბისოვა ამბობს, რომ თვითონაც რუსეთის პატრიარქს მიმართავს, რადგან გიორგი კაბისოვი რუსეთის მოქალაქეცაა და ის პოლიტიკური ნიშნით იდევნება.

„ანატოლი ბიბილოვმა შეიწყალა საქართველოს მოქალაქე გახელაძე, რომელიც სასჯელს იხდიდა საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის და სასაზღვრო სამსახურის თანამშრომლის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისთვის. ჩვენ ასევე გადავწყვიტეთ, მივმართოთ პატრიარქ კირილეს შუამდგომლობისთვის, რუსეთისა და ოსეთის მოქალაქე კაბისოვის გასათავისუფლებლად. წინა დღეს ალანიის ეპარქიამ კაბისოვისთვის ამნისტიის მოთხოვნა შეიტანა, მაგრამ ყველაფერი უსარგებლოა. საქართველოს პატრიარქის ილია მეორის თხოვნა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ოსი სასულიერო პირებისა და ჩვენი საზოგადოების ყველა მიმართვა, რომელსაც წარმოადგენდნენ პრაქტიკულად ყველა, ყველაზე ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერები, გარდა პროსამთავრობო პარტიისა“.

გიორგი კაბისოვის ახლობლების განცხადებით, პატრიარქ კირილისადმი წერილი მოსკოვში უკვე გაიგზავნა და ახლა იქიდან პასუხს ელოდებიან.

ოკუპირებული ცხინვალის ციხეში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე გენადი ბესტაევი იმყოფება. დე ფაქტო პარლამენტს ამნისტიის კანონი რომ მიეღო, მას აუცილებლად შეეხებოდა, რადგან სასჯელის ნახევარი უკვე მოხდილი აქვს. ბესტაევი ე.წ. საზღვრის გადაკვეთის და ნარკოტიკული ნივთიერების კონტრაბანდის ბრალდებით დააკავეს და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ბესტაევმა ცხინვალის ციხეში ორი წელი უკვე გაატარა. ცხინვალიდან დაბრუნებულმა ზაზა გახელაძემ „რადიო თავისუფლებას“ უთხრა, რომ გენადის ერთი წელიც აღარ დარჩა მოსახდელი.

გოგა აფციაური,
„რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტი შიდა ქართლში.

უმრავლესობის ღირსების შელახვა არავის არ ეპატიება!

ბოლო ხანებში ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია უმცირესობების უფლებების ვითომცდა შევიწროების გამო ხელოვნურად აგორებულმა საპროტესტო გამოსვლებმა. არადა, ხმაურია ისტორიულად მუდამ უზადო თანაცხოვრების თანამდევი ტოლერანტობის საწინააღმდეგოდ. ამიტომ არავის უნდა უკვირდეს, რომ სხვადასხვა მანკიერება და სოდომური ცოდვა, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, „არასდროს აღიქმება სიკეთედ და ღირსებად“. სიწმინდის ხელყოფას არასდროს შეეგუება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი, ერი და ბერი.

ჩვენი მომავალი თაობა კვლავაც უნდა აღიზარდოს ეროვნული სიწმინდეების ტრადიციებით. მით უფრო, რომ პატარა ქვეყანა ვართ და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში ისტორიულად დიდი ძალაა ტრადიციებისადმი ურყევი ერთგულება.

მოვითხოვთ, ბოლო მოეღოს პროვოკაციულად გამომწვევი საქციელით გარყვნილების პროპაგანდას, მიზანმიმართულ შეტევებს ეროვნულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე, სახელმწიფოსა და ეკლესიაზე. მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივ აზრსა და განწყობაზე უხეში ზეწოლა იყო ე.წ. „პრაიდ კვირეულის“ ჩატარების დაჟინებული მცდელობა. ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას, მაგრამ თუ ასეთი რამ ხდება, პასუხისმგებლობა უნდა გადანაწილდეს თანაბრად, როგორც მოძალადეებზე, ისე მათთვის ფონის შემქნელ ლგბტ თემის აქტივისტებზე და მათ წამქეზებლებზე.

მხარს ვუჭერთ ყველას, ვინც მოითხოვს კანონმდებლობაში ცვლილებებს, რათა ერთმა ჯგუფმა თუ თემმა, თავისი უფლებები არ გამოიყენოს უმრავლესობის ღირსების შესალახად. არიან ქვეყნები, რომლებმაც უკვე მიიღეს „გარყვნილების პროპაგანდის“ ამკრძალავი კანონი, ზოგიერთი ქვეყანა კი ასეთი კანონის მიღების მზადების პროცესშია.

იმედი გვაქვს, მეგობარი ქვეყნები, საქართველოში მათი ელჩები, გაგებით მოეკიდებიან შექმნილ სინამდვილეს და „თითოეული ადამიანის გამოხატვის თავისუფლება“ უმრავლესობის უფლებების შელახვის ხარჯზე არ იქნება წახალისებული.



გურამ სალარაძე,
აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის“ თავმჯდომარე

რა აკავშირებთ მიქელ-გაბრიელის ცელს და რევოლუ-ციონერი კამოს მენიუს?!

ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, 2019 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ �კᲝᲕᲘᲓᲘᲡ ᲮᲚᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ“ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ – „ᲛᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲪᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠ ᲑᲝᲚᲘᲨᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲕᲣᲮᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲫᲛᲐᲨᲘ: „ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ, ᲠᲐᲪ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲡᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲐ ᲐᲜ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ – ᲡᲐᲛᲝᲫᲐᲚᲐᲫᲝ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲛᲘ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲮᲯᲔᲠᲐᲓᲛᲐ ᲪᲕᲚᲐᲛ ᲡᲐᲫᲛᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲨᲕᲔᲚᲐ – ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ! ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲐᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲛᲭᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲡᲮᲕᲐ ᲗᲔᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡᲓᲐ, ᲕᲔᲠᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲚᲘᲓᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲬᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲗᲘᲗᲘᲕᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ (ᲗᲣ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲠᲐ!), ᲠᲝᲒᲝᲠᲪ – ᲛᲐᲛᲐᲗᲛᲐᲕᲐᲚ-ᲚᲔᲡᲑᲝᲡᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘᲐ“.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს აგვიხდა კოვიდ-უბედურების სახით ექვს თვეში!

წერილში, რომელიც ორი კვირის მანძილზე იბეჭდებოდა გაგრძელებებით, ყურადღება ვაქცინებით გამოწვეულ უმძიმეს გართულებებზე, ძირითადად, ახლად გაჩენილ (50 წლის წინათ, პრაქტიკულად, არარსებულ!) ორ ნოზოლოგიურ ერთეულზე (დაავადებაზე) – „აუტიზმზე“ და „ჩვილ ბავშვთა უეცარ სიკვდილზე“ იყო გამახვილებული. ვინაიდან იმ დროს აცრა-არ აცრის საკითხი ასე მწვავედ არ იდგა (ყოველ შემთხვევაში, – ჩვენთან), ალბათ, ის წერილი ბევრს არც წაუკითხავს ან აქტუალურად არ მიიჩნია, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე აცრებთან დაკავშირებული ზოგიერთი რამ შემეხსენებინა მკითხველისთვის.

ვაქცინაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის არსებული დაპირისპირება განსაკუთრებით გამწვავდა მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან, რისი მთავარი მიზეზიც მასობრივი ვაქცინაციის შემოღება და გახშირებული გართულებებია.

აი, ვაქცინაციის მომხრეების, შეიძლება ითქვას, ერთადერთი, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი არგუმენტი: **„ვაქცინაციის წყალობით კაცობრიობამ დაამარცხა ინფექციური დაავადებები, ამაზე მეტყველებს დაავადებების სტატისტიკა“**, – აცხადებენ ისინი და ამის მაგალითად მოჰყავთ ისეთი მძიმე დაავადების დამარცხება-გაქრობა, როგორიცაა **ყვავილი და ზოგიერთი სხვა საშიში ინფექცია. „ამის დაუნახაობა ვაქცინაციის მოწინააღმდეგეების სიბნელეზე და ჩამორჩენილობაზე მიუთითებს მხოლოდ“**, – ამგვარი შეურაცხმყოფელი შეფასების უფლებასაც კი აძლევენ თავიანთ თავს ზოგიერთი, საკუთარ განსწავლულობაში ღრმად დარწმუნებული ექიმი-ინფექციონისტები!

თითქოს, ყველაფერი სწორია მათ არგუმენტში, მაგრამ ვაქცინაციის „ჩამორჩენილ“ მოწინააღმდეგეებს არანაკლებ მნიშვნელოვანი და, თან, უამრავი კონტრარგუმენტი გააჩნიათ: **„არ არსებობს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ეს შედეგი ვაქცინაციის დამსახურებაა,** – აცხადებენ ისინი, – ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორებიცაა ტუბერკულოზი, დიფტერია, ქუნთრუშა, წითელა და ყივანახველა, მკვეთრად შემცირდა მასობრივი ვაქცინაციის შემოღებამდე ბევრად უფრო ადრე, – მეოცე საუკუნის შუა ხანებში. **და, რაც მთავარია, ისეთი, უაღრესად საშიში დაავადებებიც კი, როგორებიცაა ჭირი, ქოლერა, მალარია, ტიფი, ქუნთრუშაც, რომელთა საწინააღმდეგო სანდო ვაქცინა დღემდე(!) არ არსებობს, პრაქტიკულად გამქრალია განვითარებულ სახელმწიფოებში“!** მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ იმ სახელმწიფოებში, სადაც ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრები (ე.წ. ბეცეჟირება) მასიურად არ ტარდება ან კარგა ხნის გაუქმებულია, ტუბერკულოზით დაავადებიანობა გაცილებით დაბალია, ვიდრე იქ, სადაც (რუსეთი, ბრაზილია, ინდოეთი და სხვა) ყველა ახალშობილი სამშობიაროშივე(!) იცრება!

ეპიდემიოლოგების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაზეც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი **მძიმე ინფექციური დაავადებების გაქრობის თუ მკვეთრად შემცირების უმთავრესი მიზეზი აცრები კი არ არის** (ბევრ მათგანზე ხომ, როგორც ვთქვით, არც არსებობს ვაქცინა საერთოდ!), **არამედ სანიტარულ–ჰიგიენური(!) პირობების გაუმჯობესება** (სასმელი წყლის, კვების პროდუქტების ხარისხის და სხვა).

ამით არ სრულდება ვაქცინაციის მოწინააღმდეგეების არგუმენტები, მათ ხელთ აქვთ არა მხოლოდ მშრალი სტატისტიკა ინფექციური დაავადებების კლება-გაქრობის შესახებ, არამედ **ვაქცინაციით გამოწვეული (!) უმძიმესი გართულებების, ახლად გაჩენილი(!) დაავადებების და სიკვდილის** მილიონობით ფაქტიც, თანაც, დადასტურებული ამერიკის სასამართლოების მიერ, სადაც წარმოუდგენლად ძნელია იმის დამტკიცება, რომ ბავშვის დაღუპვის უშუალო მიზეზი ვაქცინა გახდა (აღარაფერს ვამბობ იმ გართულებებზე, რომლებიც აცრიდან რამდენიმე კვირის და თვის შემდეგ ან კიდევ უფრო გვიან იჩენს თავს) – ამას წლები, დიდი ენერგია და ფინანსები სჭირდება, რისი თავიც ბევრს არა აქვს. და, მაინც, იმდენი გაუბედურებული მშობლის საჩივარი შედიოდა (და, შედის დღესაც) შეერთებული შტატების სასამართლოებში **(ყველაზე მაღალი პროცენტი აცრილებისა, სწორედ იქაა)**, რომ კონგრესი იძულებული გახდა, სპეციალური, ჯერ არნახული სასამართლო – ე.წ. **„ვაქცინების სასამართლო“** შემოეღო და ჯანმრთელობისთვის ვაქცინებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად **„საკომპენსაციო პროგრამაც“** დაეწესებინა 1986 წელს! მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ოჯახების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი აღწევს სასურველ შედეგს, 2020 წლისთვის ამ ოჯახებისთვის **კომპენსაციის სახით ოთხ მილიარდ(!) დოლარზე მეტი იყო გადახდილი... ბიუჯეტიდან,** ანუ ხალხის, მათ შორის, დაზარალებული ხალხის ჯიბიდან და, **არა – ვაქცინების მწარმოებლების ჯიბიდან!** როგორც ზემოთ ვთქვით, იმდენი ადამიანი უჩიოდა ვაქცინების მწარმოებელ კომპანიებს, რომ სადაზღვევო კომპანიებმა უარი განაცხადეს მათ დაზღვევაზე. ვაქცინების მწარმოებელმა უმდიდრესმა კომპანიებმა შანტაჟით (საერთოდ შევწყვეტთ ვაქცინების გამოშვებასო!) და, სავარაუდოდ, მოქრთამვითაც მიაღწიეს იმას, რომ **1986 წელს ამერიკის კონგრესს მიაღებინეს კანონი, რომლის ძალითაც ისინი განთავისუფლდნენ ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან და მას შემდეგ ვაქცინების ხარისხზე არავითარ პასუხს აღარ აგებენ, თუნდაც აცრის მომენტშივე დაიღუპოს ბავშვი თუ ზრდასრული ადამიანი!**

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ვაქცინაციის გართულებებზე მხოლოდ მოწინააღმდეგენი საუბრობენ, მხოლოდ ისინი იშველიებენ ფაქტებს და სოლიდური სამედიცინო დაწესებულებების მიერ ჩატარებულ კვლევებს. მათგან მხოლოდ ორს მოვიყვან მაგალითად, მაგრამ თვალის ასახელად სავსებით საკმარისს:

Journal of Public Health and Epidemiology-ს 2014 წლის ივლისის ნომერში გამოქვეყნდა მეცნიერთა ჯგუფის 30-წლიანი(!) (დაწყებული 1979 წლიდან), არნახულად მასშტაბური კვლევის შედეგები – გარემო ფაქტორების გავლენა ოთხი სახელმწიფოს – შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, დანიის და ავსტრალიის მოსახლეობაზე. ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲣᲗᲛᲘᲗᲐᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲖᲔ (ᲐᲑᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ(!) ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲖᲔ) ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲔᲑᲘᲪᲐᲐ: ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲔᲠᲮᲔᲑᲐ, ᲐᲣᲢᲘᲖᲛᲘ, ᲰᲘᲞᲔᲠᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ, ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲫᲜᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲨᲘᲖᲝᲤᲠᲔᲜᲘᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲕᲐᲚᲡᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲗᲣᲙᲘ 1983 ᲬᲔᲚᲡ 15 ᲗᲕᲔᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲐᲪᲠᲐ ᲣᲢᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲓᲐ 10 000 ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲡ ᲣᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲣᲢᲘᲖᲛᲘ, 30 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, – 2014 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲙᲕᲔ 4-ᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘ, 23 ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲗ ᲪᲠᲘᲓᲜᲔᲜ ᲗᲝᲗᲝᲗᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ, ᲐᲣᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲛᲐ 150(!)-ᲯᲔᲠ ᲛᲝᲛᲘᲛᲐᲢᲐ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ 68 ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲡ ᲣᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ! ᲗᲣ, 2009 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲐᲣᲢᲘᲖᲛᲘᲗ 673 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, 5(!) ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ 60(!)%-ᲘᲗ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ 1 083 353-Ს ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ! ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔ ᲗᲣ �გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲓᲐ, ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ – 2025 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲐᲗᲔ(!) ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲐᲣᲢᲘᲖᲛᲘᲗ ᲨᲔᲐᲮᲠᲝᲑᲘᲚᲘ!

შოკისმომგვრელი იყო მონაცემები, რომელიც 2017 წელს გამოქვეყნდა სათაურით: **„აცრილი და აუცრელი** 6-დან 12 წლამდე ამერიკელი ბავშვების ჯანმრთელობის **შედარებითი შესწავლა“** (666 ბავშვიდან 261 აუცრელი იყო) – **თითქმის ყველა დაავადება** (ალერგიული რინიტი, სწავლის გაძნელება, ჰიპერაქტიურობის და ყურადღების დეფიციტის სინდრომი, აუტიზმი, ფსიქიკური განვითარების შეფერხება, ეგზემა, ქრონიკული ოტიტი, სხვა ქრონიკული დაავადებები) **3-5-ჯერ(!) უფრო ხშირი იყო აცრილებში, ვიდრე აუცრელებში!**

ვაქცინების შემთხვევაში მსგავსი შედარებითი კვლევები თითქმის არ ტარდება და, მედიკამენტებისგან განსხვავებით, არც პლაცებოს მეთოდით ხდება მათი ეფექტურობის შეფასება. ვაქცინა წამლად არ ითვლება და იმიტომო, – ისე გვპასუხობენ ვაქცინაციის მომხრეები, თითქოს, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს – შესწავლილი წამლით მომწამლავ, თუ – სათანადოდ შეუსწავლელი, ვაქცინად წოდებული სამედიცინო პროდუქტით მომიღებ ბოლოს!

სანამ უშუალოდ კოვიდვაქცინაციაზე ვიტყოდე რამეს, ჯერ თავად ამ ვაქცინების შესახებ უნდა ითქვას. ახალი ტექნოლოგიებით შექმნილი ვაქცინა (mRNA ვაქცინები – პფაიზერი და მოდერნა იქნება ეს, თუ ვექტორული – შიმპანზეს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ადენოვირუსზე დამზადებულები ასტრა-ზენეკა და სპუტნიკ ვი) არ არის ვაქცინა ტრადიციული გაგებით, – როდესაც ორგანიზმში მკვდარი ან დასუსტებული პათოგენის (ბაქტერიის, ვირუსის) განსაზღვრული რაოდენობა შეყავდათ, ორგანიზმი კი ანტისხეულების გამომუშავებით რეაგირებდა, – იგი გენების ფრაგმენტების ნარევია, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმში შეყავთ „ვირუსების მწარმოებელი ფაბრიკა“ და, არავინ იცის ზუსტად, თუ როგორ მუშაობს ეს ფაბრიკა, როდის შეწყვეტს ის ვირუსის გამომუშავებას! **კოვიდ-19 ვაქცინების შექმნაში გამოყენებეული mRNA ტექნოლოგიის გამომგონებელი დოქტორი რობერტ მელოუნი (Robert Malone) ბრალს დებს მთავრობას იმაში, რომ იგი არ ლაპარაკობს ვაქცინასთან დაკავშირებულ რისკებზე, და აცხადებს, რომ ამ ვაქცინით ახალგაზრდები და თინეიჯერები არ უნდა იქნან აცრილნი!** თავად ვაქცინების შემქმნელი დოქტორი **Geert Vanden Bossche** გვაფრთხილებს, რომ კაცობრიობა უპრეცედენტო მასშტაბის კატასტროფის – განადგურების ზღვარზე დგას, რომ **mRNA ვაქცინა შედარებით ნაკლებად საშიშ კორონავირუსს მასობრივი განადგურების ბიოიარაღად გარდაქმნის (mRNA** – ეს არის უჯრედებში არსებული შიკრიკი (messenger) რნმ – რიბონუკლეინის მჟავა, რომლის მოლეკულებსაც ცილების შესაქმნელად საჭირო **გენეტიკური(!) ინფორმაცია გადააქვს).**

ნებისმიერი ვაქცინით იძულებითი(!) ვაქცინაცია დანაშაულია, სათანადოდ შეუსწავლელი ვაქცინით აცრა – ორმაგი დანაშაული, ხოლო სულ ახალი ტიპის, გენური(!) ინჟინერიით შექმნილი ვაქცინით იძულებითი აცრა კი, უმაღლეს სასჯელს იმსახურებს! რატომ? იმიტომ, რომ არავინ, **თვით ვაქცინების შემქმნელებმა არ იციან, თუ რა გავლენას მოახდენს** გენების რნმ-ის ფრაგმენტების კოქტეილით განხორციელებული **ვაქცინაცია ადამიანის რეპროდუქციულ ფუნქციაზე**. ამის გასაგებად რამდენიმე წელი საკმარისი არ არის, მას 10-15 და მეტი წელი სჭირდება. კოვიდვაქცინებს კი მხოლოდ რამდენიმეთვიანი დაკვირვება აქვთ გავლილი, რაც ტრადიციული, კარგად აპრობირებული მეთოდით დამზადებულებისთვისაც კი არ არის საკმარისი. შედარებით მცირე დროის გასვლის მიუხედავად, **კოვიდვაქცინაციის საზიანო მოქმედებამ უკვე ამ მხრივაც იჩინა თავი.** დიდი ბრიტანეთის მედიკამენტების და ჯანმრთელობის პროდუქტების მარეგულირებელი სააგენტო (**mRNA**), რომელიც სისტემატურად აქვეყნებს ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, იუწყება, რომ 2021 წლის 23 ივნისისთვის **კატასტროფულად, 3016(!) %-ით იმატა მუცლის მოშლამ კოვიდვაქცინირებულ ქალებში, სხვა გართულებებმა კი მილიონს გადააჭარბა** (43 მილიონი აცრილიდან)! ამგვარი ვაქცინების მოწინააღმდეგე მეცნიერები თვლიან, რომ მთავარი და გამოუსწორებელი საშინელება მაინც მომავალში – რამდენიმე წლიდან ერთ-ორ თაობაში (შესაძლოა, – უფრო გვიანაც!) იჩენს თავს, როდესაც კაცობრიობა გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება და, რაც მთავარია, ჩვენი თაობის დროს დაშვებულ საბედისწერო შეცდომას, უფრო კი, – შეგნებულად ჩადენილ დანაშაულს, უკვე ვეღარაფერი გამოასწორებს! ამერიკელი **Lee Merritt**-ის საჯარო მოხსენების სათაური ასეთი იყო: **„იძულებითი mRNA ინოკულაცია (აცრა) – ეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი მასობრივი(!) გენოციდალური(!) დანაშაულია“!**

საგაზეთო წერილში, ძნელია პრობლემის ყველა მხარეზე საუბარი. ამიტომ, კოვიდ–ვაქცინებით გამოწვეული გართულებებიდან მხოლოდ სიკვდილიანობაზე შევჩერდები.

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲭᲐᲕᲐ,
ᲢᲔᲚ: 593 55 04 00

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **დამსახურებული ჟურნალისტი, პუბლიცისტი და მკვლევარი ლევან დოლიძე ცნობილია საქართველოს სამხედრო იტორიის სიღრმისეული გამოკვლევებით. ფართოდ გახმაურდა მისი ენციკლოპედიური ნაშრომი „გენერლები საქართველოდან“ – საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატიანე, რომელშიც პირველად არის თავმოყრილი ქვეყნის მკვიდრ და მის გარეთ დაბადებულ და მოღვაწე ათასზე მეტი გენერლის შესახებ 1700-2000 წლებში.**

ამ დღეებში გამოქვეყნდა ლევან დოლიძის ახალი, ასევე ენციკლოპედიური ქართულ-რუსულენოვანი ნაშრომი „საქართველოს ებრაელთა წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში“. წიგნი გაჯერებულია უამრავი ფოტოსურათით ავტორ ლევან დოლიძის, წიგნის რედაქტორის-სააგენტო „პლანეტა ფორტეს“ დირექტორის, დამსახურებული ჟურნალისტის მერაბ ჩანჩალაშვილის, მიხეილ ვიალოვის, ლევან აჯიაშვილის, არკადი ელიგულაშვილის ფოტოარქივებიდან და ინტერნეტიდან.

მეორე მსოფლიო ომი განსაკუთრებით დამანგრეველი და სისხლიანი იყო კაცობრიობის ისტორიაში. ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღეს საბჭოთა კავშირად გაერთიანებულმა რესპუბლიკებმა-დაახლოებით 27 მილიონი ადამიანი, მათ შორის 18 მილიონამდე მშვიდობიანი მოქალაქე. ებრაელებმა ამ გამარჯვებაში წარმოუდგენლად საშინელი ფასი გადაიხადეს, დაიღუპა 6 მილიონზე მეტი, უმეტესობა – საკონცენტრაციო ბანაკებში. ბოლო ხანს გამოცემულ „რუსეთის ებრაელთა ენციკლოპედიის“ მონაცემებით ომის წლებში წითელი არმიის რიგებში იბრძოდა 500 ათასი ებრაელი, მათგან ნახევარზე მეტი ბრძოლის ველზე დაეცა.

საქართველოს წარგზავნილნი ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული ფრონტის ყველა უბანზე იბრძოდნენ. შინ არ დაბრუნებულა 300 ათასამდე მებრძოლი. ოფიციალურად არასოდეს აღუნუსხავთ, რამდენი იყო მათ შორის ქართველი ებრაელი, ის კი ცნობილია, რომ ომმა გვერდი არ აუარა არცერთი ქართველი ებრაელის ოჯახს. ქართველ ებრაელებს მესამე რაიხთან ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის პირველი დღეებიდან, 1939 წლის სექტემბრიდანვე მოუხდათ, როცა ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, რომლის არმიის ნაწილები მამაცურად შეებნენ ოკუპანტებს. მათ შორის იყვნენ ემიგრანტი ყოფილი ქართველი იუნკრები, ოფიცრები და გენერლები, აგრეთვე, ქართველი ებრაელები. ებრაელების მფარველობის გამო ვარშავაში დააპატიმრეს ქართველი არქიმანდრიტი, ევროპის ხუთი უნივერსიტეტის პროფესორი, 43 წლის მეცნიერი გრიგოლ ფერაძე. ერთ-ერთი ვერსიით ის გაზის კამერაში მოკლეს, სადაც ნებაყოფლობით შევიდა მრავალშვილიანი ებრაელის ნაცვლად.

ლევან დოლიძე გვამცნობს, რომ საფრანგეთის ქართველ ემიგრანტებში ერთობ პოპულარული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი. ის საქართველოს საგანძურის სამშობლოში ევაკუაციის ერთ-ერთი ორგანიზატორია, ამ მიზნით მან თანხაც კი გაიღო ავტომობილის დასაქირავებლად, ბევრი იღონა ნოე ჟორდანიას გადასარჩენად, რომელსაც ფაშისტური ანგარიშსწორება ელოდა. ლევან დოლიძეს მოაქვს ძალზე საინტერესო დოკუმენტი – პარიზის მთავარი რაბინის მიერ 1944 წლის 16 ოქტომბერს ნოე ჟორდანიასადმი მიწერილი წერილი: „ბატონმა იოსებ ელიგულაშვილმა მიამბო იმ დიდსულოვან მხარდაჭერაზე, რაც თქვენმა თანამემამულეებმა გამოიჩინეს ებრაელთა მიმართ. თქვენი უანგარო დახმარების წყალობით საფრანგეთის ოთხწლიანი ოკუპაციის დროს მათ რასისტული რეჟიმის საშინელება არ შეხებიათ.“

ავტორს მოჰყავს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მისთვის მონათხრობი ამბავი. ქალბატონ სალომეს ბაბუამ დედის მხრიდან, საქართველოს დემოკრატიულ მთავრობაში უსაფრთხოების ხელმძღვანელმა მელქისედეკ (მექი) კედიამ, რომელსაც სიახლოვე ჰქონდა გერმანიის გარკვეულ წრეებთან, დაარწმუნა ფაშისტები, რომ ქართველი ებრაელები სხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან და დიდი ხნის წინათ ორგანულად შეერწყნენ ქართველ ერს!..

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ მემორანდუმში ხაზგასმული იყო, ქართველი ებრაელები ეთნიკური ქართველებისგან არაფრით განსხვავდებიან და კომუნისტურ და სიონისტურ მისწრაფებებს აბსოლუტურად მოკლებულნი არიანო. ამით მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნეს გარდაუვალი დაღუპვისგან.

მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 84 გენერალი იბრძოდა: 55 ქართველი, 13 სომეხი, 7 რუსი, 5 ებრაელი, 3 ოსი და 1 აზერბაიჯანელი (სსრ კავშირის გენერლებს შორის 200-ზე მეტი ებრაელი იყო).

თბილისელი ვლადიმერ ლვოვი საქართველოდან პირველი გახდა გენერალ-ლეიტენანტი, ის 51-ე არმიას სარდლობდა, როცა ქერჩთან დაიღუპა. დიდება მოიხვეჭა სატანკო ჯარების გენერალმა თბილისელმა ბორის შნაიდერმა, რომელიც ლვოვთან დაეცა. ბათუმელი ავიაციის გენერალი ალექსანდრე ბორმანი მე-5-ე საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე იყო.

ომის დროს დიდების ორდენის სრული კავალერი საქართველოდან 22 მებრძოლი გახდა, მათ შორის ეთნიკური ებრაელი, ლაილაშელი ილია სეფიაშვილი – გმირი არტილერისტი.

ბანძელი შაბათა აჯიაშვილის ოჯახიდან 4 ვაჟი – გაბრიელი, ეფრემი, იოსები და სოლომონი იბრძოდა.

სოხუმელი სამი ძმა აბრამიშვილი-არონი, ვასილი და ნიკოლოზი არ დაბრუნებულა ომოდან.

მამაცურად იბრძოდნენ ქუთაისელი და-ძმა რახილ და ბორის იაკობაშვილები, ხარაგაულელი ლუდმილა და ილია კუკაშვილები, თბილისელი იელ და იოჰაბედ როკეტლიშვილები, ძმები ილია და შალვა ჩანჩალაშვილები, მიხეილ და ბენიამინ გურიელაშვილები...

გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს ლევან ნამგალაშვილმა, მორდეხ ბაბალაშვილმა, შალვა ხუხაშვილმა, არონ ელიშაკოვმა, ისაკ ჯანიმაინოვმა, მიხეილ დავითაშვილმა, დანიელ მოშიაშვილმა, იაკობ აბრამიშვილმა, კონსტანტინე ბალუაშვილმა, მოსე ბალუაშვილმა, ბესო თეთრუაშვილმა, ეუშვაკ ყვითელაშვილმა, რუბენ შიმშილაშვილმა, ხაიმ მამისთვალოვმა და სხვებმა.

ლევან დოლიძის ეს ახალი ნაშრომი კარგი საჩუქარია მეორე მსოფლიო ომით დაინტერესებული მკვლევარებისა და მკითხველთათვის. ის უთუოდ მოიპოვებს აღიარებას როგორც ხსოვნის წიგნი.

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲮᲠᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲮᲠᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ.

1. „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ“ – ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს და მისი მიზანია ქვეყანაში საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა, ლიტერატურული პროცესების განვითარება, ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურის ახალი გამოცემების ხელშეწყობის გზით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს – გამომცემლებს (საგამომცემლო სახლებს), რომლებსაც აღნიშნულ სფეროში მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება აქვთ.

2. „ᲕᲝᲙᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ“

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ლარს და მისი მიზანია ვოკალური მუსიკის პოპულარიზაცია; ქართული ვოკალური სკოლის ტრადიციების აღორძინება; ახალგაზრდა მომღერალთა საშემსრულებლო დონის ამაღლება; კონკურსზე საერთაშორისო აღიარების მქონე ჟიურის წევრთა მოწვევა; ჟიურის წევრთა მასტერკლასები ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსებისთვის; ვოკალის პედაგოგთა სტიმულირება და კვალიფიკაციის ამაღლება. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირებს, რომელთაც აქვთ ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსებისა და მასტერკლასების ჩატარების გამოცდილება.

3. „ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡ-ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ“

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 25 000 ლარს და მისი მიზანია პროფესიული მუსიკის პოპულარიზაცია; სხვადასხვა პროფილის ახალგაზრდა მუსიკოსთა საშემსრულებლო დონის ამაღლება; ახალი სახელების წარმოჩენა; პროფესიული მუსიკალური განათლების პოპულარიზაცია; პედაგოგების სტიმულირება.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ იურიდიულ პირებს, რომელთაც გააჩნიათ მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსების ჩატარების გამოცდილება.

4. „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ“

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 253 000 ლარს და მისი მიზანია კინოხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით საქართველოში საერთაშორისო საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა; ხელოვანთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ფესტივალის ფარგლებში, საგანმანათლებლო ვორქშოფების (მასტერკლასების) განხორციელება; მსოფლიო კინოს მიღწევების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

5. „ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ“

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 700 000 ლარს და მისი მიზანია უმაღლესი და სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; უმაღლესი და სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული განვითარება, რომელიც მოემსახურება სასწავლებლების ძირითადი მიზნების მიღწევას; მოსწავლეებისა და პედაგოგების მოტივაციის ამაღლება.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, უმაღლეს და სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

6. „ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲐ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ“

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 20 000 ლარს და მისი მიზანია ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და ახალი სახელების წარმოჩენა; ქართული საშემსრულებლო ხელოვნების პოპულარიზაცია, მისი საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება; მოსწავლეთა (სტუდენტთა) და პედაგოგების პროფესიული განვითარება და მოტივაციის ამაღლება.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

7. „ᲜᲘᲭᲘᲔᲠ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ �გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ“

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ლარს და მისი მიზანია ახალგაზრდა ხელოვანთა განათლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ნიჭიერი ახალგაზრდა ხელოვანების განათლებაზე ხელმისაწვდომობა; თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებთან ინტეგრირება; ახალი სახელების წარმოჩენა. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს სახელოვნებო სფეროში გამოცდილება.

8. „ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ“

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 300 000 ლარს და მისი მიზანია მნიშვნელოვანი საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა; ქვეყანაში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, შემოქმედებით პროცესებში ხელოვანთა და სახელოვნებო ორგანიზაციების ჩართულობა და მათთვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზება; ხელოვანთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და თანამედროვე ტენდენციების გაცნობა.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

9. „ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ“

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 10 000 ლარს და მისი მიზანია ახალგაზრდა თაობაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაცია; არქეოლოგიური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და აქტუალური პროცესების ხელშეწყობა; საველე-არქეოლოგიური სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელების გზით ახალგაზრდებში პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ფიზიკურ პირებს და ინდივიდუალურ მეწარმეებს.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ახალი ღუმელი ამოქმედდა

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ტრადიციული ქართული წარმოებაა, რომელიც უკვე მრავალი წელია, ჩვენს ეკონომიკას ემსახურება, აძლიერებს მას და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა ქვეყანა პანდემიას ებრძვის, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ქარხანაში სტუმრობისას.

ეკონომიკის პოზიტიური ტენდენცია განმტკიცდება

გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი მისია დასრულდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გააკეთა მორიგი შეფასება, რომლის მიხედვით დადასტურდა ჩვენი პროგნოზი, რომ ეკონომიკური ზრდა გაცილებით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ეს თავიდან იყო ნავარაუდები, — ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, ეკონომიკის 3-ნახევრიანი პროგნოზი 7,7 %-მდე გაიზარდა.

„ეს არის საბაზისო სცენარი, თუმცა თუკი პანდემიამ ხელი არ შეგვიშალა, შესაძლებელი იქნება, იყოს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. არის გარკვეული პოზიტიური ტენდენციები: ექსპორტი გაზრდილია 30%-ით, ადგილობრივი ექსპორტი გაზრდილია 40%-ით, ეროვნული ვალუტის მდგომარეობაც უმჯობესდება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს პოზიტიური ტენდენცია გამტკიცდეს. ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შეგვიშალოს, ეს არის პანდემია“...

უკრაინელი სამხედროები რეაბილიტაციის კურსს წეროვანში გადიან

აღმოსავლეთ უკრაინის ანტიტერორისტულ ოპერაციებში დაშავებული უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეები რეაბილიტაციის კურსს საქართველოში გაივლიან. ისინი საქართველოში ოჯახის წევრებთან ერთად ჩამოვიდნენ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მათ თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის წარმომადგენლები დახვდნენ.

დაშავებული სამხედროები და მათი ოჯახის წევრები რეაბილიტაციის კურსის გასავლელად წეროვანში მდებარე მარო მაყაშვილის სახელობის რეაბილიტაციის ცენტრში გაემგზავრნენ, სადაც ფიზიკური, ფსიქოლოგიური და რეკრეაციული რეაბილიტაციის ორკვირიან კურსს გაივლიან. სარეაბილიტაციო კურსი მიზნად ისახავს დაშავებული სამხედროების ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის მაქსიმალურ გაუმჯობესებას, შესაძლებლობის ფარგლებში, ცხოვრების ხარისხის ოპტიმალური დონის მიღწევასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

წეროვანის რეაბილიტაციის ცენტრში ჯანმრთელობის აღდგენის პროცესი ამერიკელი პარტნიორების აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით მიმდინარეობს. უკრაინელი სამხედროების მომდევნო ჯგუფს საქართველოში სექტემბერში ელოდებიან. 2015 წლიდან დღემდე რეაბილიტაცია წეროვანში 237-მა უკრაინელმა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა.

თურქეთმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტექნიკური მომსახურების მანქანები გადასცა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი და საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფატმა ჯერენ იაზგანი ორხევის საავტომობილო ბაზაზე ტექნიკური საშუალებების გადაცემის ოფიციალურ ღონისძიებას დაესწრნენ, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო მანქანების უმსხვილესი კომპანია BMC-ის მიერ წარმოებული 4 ერთეული ტექნიკური მომსახურების მანქანა, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს თავდაცვის ძალებს გადასცა. კომპანია BMC-სთან 4 ერთეული ტექნიკური მომსახურების მანქანის მიწოდების თაობაზე ხელშეკრულება 2020 წლის ოქტომბერში გაფორმდა. აღნიშნული ტექნიკის საერთო ღირებულებამ 866,400.00 აშშ დოლარი შეადგინა.

ისრაელი ლიბანს აფრთხილებს

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ბენი განცმა განაცხადა, რომ ლიბანის სახელმწიფო ისრაელის ტერიტორიის დაბომბვაზე პასუხისმგებელია.

„ლიბანის სახელმწიფო ისრაელის ტერიტორიის დაბომბვაზე პასუხისმგებელია, რადგან ის ტერორისტებს თავის ტერიტორიაზე მოქმედების საშუალებას აძლევს. ისრაელი თავისი სუვერენიტეტისა და მოქალაქეებისათვის ნებისმიერი საფრთხის წინააღმდეგ იმოქმედებს და რეაგირებას მოახდენს საკუთარი ინტერესების შესაბამისად — შესაბამის დროსა და ადგილზე“, — აღნიშნა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა. ბენი განცის თქმით, ისრაელი არ დაუშვებს, რომ ლიბანში არსებულმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა ისრაელის უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნას.

„საერთაშორისო საზოგადოებას მოვუწოდებ, იმოქმედოს ლიბანში სტაბილურობის აღსადგენად“, — განაცხადა მან.

„ლიბანიდან ჩრდილოეთ ისრაელის მიმართულებით ორი რაკეტა გაისროლეს. ერთი რაკეტა „რკინის გუმბათის“ საჰაერო თავდაცვის სისტემამ ჩამოაგდო, ხოლო მეორე ღია ტერიტორიაზე დაეცა. ჩვენ მზად ვართ, ისრაელი ყველა ფრონტზე დავიცვათ“, — ნათქვამია განცხადებაში. აღსანიშნავია, რომ ისრაელმა თავდასხმას საარტილერიო ცეცხლით უპასუხა.

ტერაქტი ბაღდადში

ერაყში, ბაღდადის გარეუბანში მომხდარი ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 31-მდე გაიზარდა. არსებული ინფორმაციით, ტერაქტი თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა. ტერაქტის შედეგად 50-ზე მეტი ადამიანი დაშავდა.

ამ მომენტისთვის ტერაქტზე პასუხისმგებლობა არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია. საავადმყოფოს წყაროების თქმით, დაღუპულთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს, რადგან დაშავებულთა ნაწილის მდგომარეობა მძიმეა.

ტიხანოვსკაია ამერიკისგან დახმარებას ითხოვს

აშშ-ში ვიზიტით მყოფი ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი სვეტლანა ტიხანოვსკაია აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ენტონი ბლინკენს შეხვდა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნედ პრაისმა განაცხადა, რომ მხარეებმა ბელარუსში არსებული ვითარება და რეჟიმის მხრიდან ოპონენტების დევნა და რეპრესიები განიხილეს.

„სვეტლანა ტიხანოვსკაია ბელარუსში ოპოზიციური მოძრაობის წინა ხაზზე დგას. განვაგრძობთ ჩვენს ძალისხმევას, რომელიც ბელარუსი ხალხის მხარდაჭერაზეა მიმართული“, — განაცხადა ნედ პრაისმა. თავის მხრივ, სვეტლანა ტიხანოვსკაიამ აშშ-ს მოუწოდა, ბელარუსის დამოუკიდებელი მედიასაშუალებებისთვის დახმარების პაკეტი მიიღოს. გარდა ამისა, მან ოფიციალურ ვაშინგტონს ბელარუსის სამოქალაქო საზოგადოების დახმარების გაფართოება სთხოვა.

რვათვიანი პატიმრობა კაპიტოლიუმში შეჭრის გამო

აშშ-ის სასამართლომ კაპიტოლიუმში შეჭრის საქმეზე პირველი განაჩენი გამოიტანა. 38 წლის პოლ ჰოჯკინს, რომელიც მიმდინარე წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმზე შტურმის დროს სენატის სხდომათა დარბაზში შეიჭრა, 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ფედერალური ოლქის მოსამართლემ, რენდოლფ მოსმა განაცხადა, რომ პოლ ჰოჯკინსმა წვლილი შეიტანა დემოკრატიის წინააღმდეგ მძიმე დანაშაულში, მაგრამ გარკვეულ შემწყნარებლობას იმსახურებდა, რადგან ბრალი პროცესის ადრეულ პერიოდში აღიარა და ძალადობაში მონაწილეობა არ მიუღია. 6 იანვარს ვაშინგტონში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც დონალდ ტრამპის მხარდამჭერები კაპიტოლიუმის შენობაში შეიჭრნენ, სადაც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ამტკიცებდნენ. დემონსტრანტები ჯო ბაიდენის გამარჯვებას აპროტესტებდნენ. შენობიდან კონგრესმენთა ევაკუაცია განხორციელდა. არეულობის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა. აშშ-ის კაპიტოლიუმში შეჭრის საქმეზე ფედერალურმა პროკურორებმა ბრალი 300-ზე მეტ ადამიანს წაუყენეს.

ვინ იქნება ნატოს გენერალური მდივანი

ამერიკული გამოცემა Politico ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე შესაძლო კანდიდატებს ასახელებს. ალიანსის მოქმედ გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს მანდატი 2022 წელს ეწურება. ის ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობას 2014 წლიდან იკავებს.

ნატოს შტაბ-ბინაში ოფიციალური დისკუსიები ახლახან დაიწყო და იენს სტოლტენბერგის მემკვიდრე ნატოს ლიდერების სამიტზე მადრიდში, სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულის ბოლოს ან ზაფხულის დასაწყისში იქნება წარდგენილი. ზოგიერთი მაღალჩინოსანი, დიპლომატი და ანალიტიკოსი ამბობს, რომ 72 წლის შემდეგ, დროა ალიანსმა პირველი ქალი გენერალური მდივანი დანიშნოს. სხვები ამბობენ, რომ რუსეთთან დაპირისპირების ფონზე, აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლის არჩევა მნიშვნელოვანი სიგნალი იქნება მოსკოვისთვის. გამოცემა Politico-ს განცხადებით, ხორვატიისა და ლიეტუვის ყოფილი პრეზიდენტები კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩი და დალია გრიბაუსკაიტე და ესტონეთის მოქმედი პრეზიდენტი კერსტი კალულაიდი, შესაძლოა, ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე კანდიდატებად განიხილონ. თუმცა, ნატოს საკითხებში ზოგიერთმა ექსპერტმა განაცხადა, რომ ბალტიისპირეთის წარმომადგენლის გენერალური მდივნის თანამდებობაზე არჩევა მოსკოვის მიმართ ძალიან მტრულ ნაბიჯად შეიძლება იყოს განხილული იმ დროს, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დალაგებას ცდილობს.



ამ კაცის სახელი ჩვენში (ისევე, როგორც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში) თითქმის ყველამ იცის: მის ურთიერთობებზე მე-20 საუკუნეში მოღვაწე ისტორიულ პირებთან, მათ შორის, ადოლფ ჰიტლერთან და იოსებ სტალინთან, ათასი ლეგენდა დადის, რომლებშიც სინამდვილე და ფანტაზიის ნაყოფი ერთმანეთში ისეა აზელილი, რომ ახლა ტყუილ-მართლის გარჩევა თითქმის წარმოუდგენელია.

მაინც ვინ იყო ვოლფ მესინგი – კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა თითქმის მითიურ პერსონაჟად, რაში მდგომარეობდა მისი მოღვაწეობის არსი? სწორედ ამის გარკვევას ვეცდებით მისსავე მონათხრობის საფუძველზე.

ვოლფ მესინგი: „როცა სხვის აზრებს ვკითხულობ...“

ცოტა რამ საკუთარ თავზე:

ფსიქოლოგიური ცდები – ეს ჩემი სამუშაოა, და ის სულაც არ არის იოლი! ყოველ ჯერზე, როცა ხალხით გადაჭედილ დარბაზში შევდივარ, რომელიც მხოლოდ მე მიცქერს და რომელიც უნდა ავიყოლიო, ავაღელვო და გავაოცო, ჩემი ხელოვნებით დავარწმუნო, რომ სასწაულები ქვეყანაზე არ არსებობს და ყველაფერი ადამიანის გონებისა და ნების შესაბამისად ხდება, მთელი ჩემი ძალებისა და ნიჭის მოკრება მჭირდება, რათა მათი მოლოდინი გავამართლო.

ეს შრომა ნამდვილად არ არის იოლი და ვინც ჩემს ფსიქოლოგიურ ცდებს დასწრებია, აუცილებლად ნახავდა, თუ როგორ ჩამომდის ხოლმე წურწურით ოფლი.

ზოგჯერ ყურს მოვკრავ ხოლმე, რომ ცნობილ მანიპულატორებს, ილუზიონისტებს დიკ ჩიტაშვილს, იგორ კიოს ან არუთინ აკოპიანს მადარებენ და ეს გულს მწყვეტს. ის, რასაც სცენაზე ვაკეთებ, ყველა მხრიდან კარგად ჩანს, მე არც კიოს ან სხვა ილუზიონისტების მსგავსად რთული აპარატურა მაქვს, არც ჩიტაშვილივით ან არუთინიანივით ზემოქნილი თითები, არ ვიყენებ მუცლის მეტყველებას, არც საიდუმლო თანაშემწეთა ფარულ მინიშნებებს – მე ფსიქოლოგიური ცდების დემონსტრირებას ვახდენ და სხვა არაფერს ვაკეთებ. ამიტომაც ძალიან მწყინს, როცა თაღლითად და მატყუარად მრაცხავენ.

...გამოსვლებისთვის რომ ვემზადები, ძალიან ცოტას ვჭამ, ზოგჯერ იმ დღეს სულაც პირს არ ვაკარებ საჭმელს. ამიტომაც გამოსვლის შემდეგ ფინჯანი ჩაი უგემრიელესია და დაძაბულობის მოხსნაში მეხმარება.

ამ მცირე ჩანახატებში ვეცდები, პასუხები გავცე ყველა შეკითხვას, რომლებსაც სხვადასხვა დროს მისვამდნენ და გპირდებით, ამას სრულიად გულწრფელად გავაკეთებ. სამწუხაროდ, ჩემი ყველა ცდის ამომწურავად ახსნა არ შემიძლია თუნდაც იმის გამო, რომ საკუთარი აზროვნების ყველა თავისებურება თავადაც ბოლომდე არ მესმის. და, მერწმუნეთ, მოხარული ვიქნებოდი, თუკი ამის გარკვევაში ვინმე დამეხმარებოდა.

წლები და შეხვედრები

რუსეთში, უფრო სწორად კი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, ვარშავის მახლობლად ციდა ებრაულ დაბა გორა-კავალერიაში დავიბადე 1899 წლის 10 სექტემბერს.

ძალიან ძნელია ასეთი ღატაკი დასახლებების ცხოვრების აღწერა უკეთესად, ვიდრე ეს დიდმა ებრაელმა მწერალმა შოლომ-ალეიჰემმა გააკეთა. ერთხელ, მე, ცხრა წლის ბიჭუნას, წარჩინებულ მოწაფეს, მასთან პირადად შეხვედრის ბედნიერება მერგო, როცა მან ლოყაზე ალერსიანად მომითათუნა ხელი და დიდი მომავალი მიწინასწარმეტყველა... არა, ეს არ ყოფილა წინასწარ განჭვრეტა – უბრალოდ, შოლომ-ალეიჰემს სწამდა ერის ამოუწურავი ნიჭიერებისა და ყოველ მოზარდში წარჩინებული პიროვნების დანახვა სურდა...

მამაჩემი, ძმები და ყველა ნათესავი მაიდანეკსა და ვარშავის გეტოში დაიღუპნენ, დედა კი (საბედნიეროდ!) უფრო ადრე გარდაიცვალა, გულმა უმტყუნა. ამიტომაცაა, რომ იმ ჟამის მოსაგონად ერთი ფოტოც კი არ შემომრჩა...

ჩვენი ოჯახი უაღრესად მორწმუნე იყო, მშობლების წარმოდგენით უფალი მკაცრი და მომთხოვნია, რომელიც არანაირ დანაშაულს არ პატიობს, თუმცა კი სამართლიანია. ამიტომაც იყო, რომ მამა არ გვანებივრებდა, მას დაუნდობელი ხელი ჰქონდა, სამაგიეროდ, დედის ალერსი არ გვაკლდა. მამა უმოწყალოდ გვცემდა...

ეს იყო არაადამიანური მორალი, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენ მხეცის ლეკვებივით გავზრდილიყავით, რომლებიც თავის გადარჩენას შეძლებდნენ უსულგულო და დაუნდობელ სამყაროში.



დაბა გორა-კავალერია

მოგვიანებით მიყვებოდნენ, რომ ადრეულ ბავშვობაში მთვარეულობა მჭირდა, თუმცა კი დედას ამ სენისგან ცივი წყლით სავსე ტაშტით განვუკურნებივარ, რომელსაც ლოგინთან მიდგამდა – მძინარე შიგ ფეხს რომ ვდგამდი, მეღვიძებოდა. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს ამბავი, ვერ გეტყვით, მაგრამ თვალის ერთი გადავლებით, ეს უმნიშვნელო ეპიზოდი რომელიმე სპეციალისტისთვის იქნებ საგულისხმო აღმოჩნდეს. ამიტომაც მის შესახებ მუდამ ვყვები.

ხედერის, ანუ სინაგოგასთან არსებული სკოლის დამთავრების შემდეგ, რაბინმა ჩემი სპეციალურ სასწავლებელში – იეშიბოთში გაგზავნა გადაწყვიტა, რომელიც ღვთისმსახურებს ამზადებდა. მაგრამ, ამაზე მე კატეგორიული უარი განვაცხადე და სწორედ მაშინ მოხდა ჩემს ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი სასწაული, რომლისაც დიდი ხნის განმავლობაში მჯეროდა.

მამაჩემმა დუქანში პაპიროსის მოსატანად გამგზავნა. საღამო ხანი იყო და ბინდი ჩამოწვა. სახლს უკვე სიბნელეში მივადექი და მოულოდნელად კიბეზე თეთრ სამოსელში გამოწყობილი უზარმაზარი აჩრდილი გამომეცხადა – გრძელი წვერი, ფართოყვრიმალებიანი სახე, უჩვეულოდ მოელვარე თვალები... მან ხელები აღაპყრო და ბრძანა:

– შვილო ჩემო! ზეცის წარგზავნილი ვარ, რათა გაუწყო, რომ შენი მომავალი ღვთის მსახურებაშია! წადი იეშებოთში! შენი ლოცვა უფალს ეამება!

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ყოველივემ ჩემზე – ნერვულ, მისტიკურად განწყობილ, ეგზალტირებულ ბიჭუნაზე. მიწაზე უგონოდ დავეცი... თვალი რომ გავახილე, თავზე აღელვებული მშობლები მადგნენ, მომხდარის შესახებ რომ მოვუყევი, მამამ ჩაახველა და მკითხა:

– ასე სურს უფალს... მაშ, წახვალ იეშებოთში?

მე უარის თქმა ვეღარ გავბედე.

იეშებოთი, სადაც ორი წელი ვისწავლე, სხვა ქალაქში იყო და, ალბათ, რაბინი გავხდებოდი, რომ არა შემთხვევითი შეხვედრა. ერთხელ სამლოცველო სახლში, სადაც ვცხოვრობდი, ზორბა ტანისა და ათლეტური აღნაგობის მგზავრი გაჩერდა, რომელშიც დალაპარაკებისთანავე ის „ზეცის წარგზავნილი“ შევიცანი, რომელმაც თვით უფლის სახელით ღვთისმსახურების გზაზე დამაყენა... ცხადია, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: ესე იგი, მამაჩემი გაურიგდა ამ ღვთისპირიდან გადავარდნილ კაცს, იქნებ ფულიც კი შეაძლია, რათა „უფლის წარგზავნილის“ როლი შეესრულებინა! მაშასადამე, ყოველივე, რასაც მასწავლიდნენ, სიცრუეა! იქნებ უფალიც თვალთმაქცობს, თუ არა და მაშ რატომ იმ წამსვე არ განგმირა ცბიერი თაღლითი?!

ამიტომაც, იეშებოთში აღარაფერი მესაქმებოდა, ვეღარც შინ დავბრუნდებოდი, მამის ჭერქვეშ, რომელმაც ასე მოტყუა!.. ჰოდა, სწორედ მაშინ იყო, რომ რადგან გაქცევა დავაპირე, ერთმანეთის მიყოლებით კიდევ რამდენიმე დანაშაული ჩავიდინე. ჯერ იყო და შეწირულობებისთვის განკუთვნილი ყულაბა გავტეხე, სადაც 18 გროში ანუ , კაპიკი იდო. მეორე დანაშაული ის იყო, რომ სხვის ბოსტანში კარტოფილი ამოვთხარე, რომელიც ნაკვერჩხლებზე შევწვი. ბოლოს კი პირველივე შემხვედრი მატარებლის ნახევრადცარიელ ვაგონში სკამის ქვეშ შევძვერი (რადგან ბილეთი არ მქონდა), სადაც მშფოთვარე ძილით ჩამეძინა. ესეც მესამე დანაშაული.

მესინგი ახალგაზრდობაში

თუმცა მერე მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო: ვაგონში კონდუქტორი შემოვიდა და ბილეთების შემოწმება დაიწყო, თან სკამების ქვეშაც იხედებოდა – ემანდ ვინმე უბილეთო ხომ არ იმალებაო. მართალია, განათება ძალიან სუსტი იყო, მაგრამ კონდუქტორმა მაინც შემამჩნია:

– ახალგაზრდავ, – დღესაც მკაფიოდ მესმის მისი მჭახე ხმა, – თქვენი ბილეთი!

ნერვები უკიდურესად დაძაბული მქონდა, ხელი გავწიე, იატაკზე რაღაც ქაღალდის ნაგლეჯი მომყვა და რკინიგზელს გავუწოდე. ჩვენი თვალები შეხვდა ერთმანეთს. მთელი გულით მოვინდომე, რომ ეს ნაგლეჯი მას ბილეთი ჰგონებოდა. მან ნაგლეჯი ხელში რაღაც უცნაურად შეატრიალა, მერე ფარანი მომანათა და დამთბარი ხმით მკითხა:

– კი მაგრამ, ყმაწვილო, ბილეთიანი კაცი სკამქვეშ რატომ ხართ შემძვრალი? აგერ, რამდენი ადგილია თავისუფალი! ორ საათში ბერლინში ვიქნებით!..

გაცილებით მოგვიანებით დავრწმუნდი: შთაგონების ნიჭი თავდაპირველად სწორედ უაღრესი სულიერი დაძაბულობის დროს იჩენს თავს. სხვათა შორის, ეს არც მაინცდამაინც ძნელია, ამის გაკეთება თითქმის ყველა ადამიანს შეუძლია – სხვას შთააგონოს, ვინც არ იცის, რომელი გადაწყვეტილება მიიღოს, თანაბარფასოვანი ვარიანტებიდან რომელი აირჩიოს.

ასეთი იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი გამოვლინება იმ შესაძლებლობებისა, რომელთაც ხშირად საკვირველად მიიჩნევენ.

ასე დასრულდა ჩემი ბავშვობა.

ბერლინი – XIX საუკუნე

თარგმნა
ოთარ ტურაბელიძემ
(გაგრძელება იქნება)

◎ ჩოგბურთი

ბოლქვაძის ბენეფისი

ვიდრე ოქსანა კალაშნიკოვას გახმაურებული სკანდალური ისტორიის მიზეზების კვლევის შესახებ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ჩოგბურთის ფედერაცია ურთიერთბრალდებების წაყენების რეჟიმში კარგავენ ძვირფას დროს, რეიტინგის 195-ე ნომერმა **მარიამ ბოლქვაძემ** ყაზახეთის დედაქალაქ ნურსულთანის კორტზე გამართული პრესტიჟული 60-ათასიანი ტურნირი მოიგო.

ჩვენმა თანამემამულემ 2:0 დაამარცხა უზბეკი შარიპოვა, მასპინძელი აინიტდინოვა, ბელარუსები – ტალბი და ჰატიუკა, ხოლო ფინალში 2:1 – რუსი სავინიხი.

◎ ბედისწერა

უფლის იმედით

ამ დღეებში ქართული სპორტული სამყაროს ყურადღება სამხრეთ აფრიკისკენაა მიპყრობილი, სადაც „ბორჯღალოსანთა“ მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** მასპინძლებთან 9:40 წაგებული ტესტის შემდეგ აღმოჩენილი კოვიდვირუსის გამო იოჰანესბურგის ერთ-ერთ კლინიკაში სიკვდილს უმკლავდება.

„მისი მდგომარეობა მძიმეა – დაზიანებული აქვს ფილტვები და სიცოცხლისთვის იბრძვის. მოგიწოდებთ ყველას, ილოცოთ მისთვის“ – განაცხადა საქართველოს რაგბის კავშირის თავკაცმა **იოსებ ტყემალაძემ**.

◎ ქვიშის ჭიდაობა

ჩემპიონთა კვარტეტი

ეგზოტიკურ ქვიშის ჭიდაობაში გამართულ მსოფლიოს სერიის პირველ ეტაპს საფრანგეთის ქალაქმა სენ-ლორენ-დიუვარმა უმასპინძლა.

აღსანიშნავია ტიტულოვან ქართველ ფალავანთა შესანიშნავი მონაგარი – ისინი ოთხ წონით კატეგორიაში გახდნენ გამარჯვებულები: **ლევან ქელესაშვილი (70 კგ), დავით ხუციშვილი (80 კგ), დავით მარსაგიშვილი (90 კგ) და მამუკა კორძაია (+90 კგ).**

◎ ძიუდო

კაცური ნადავლი

2-2 „ოქრო“, „ვერცხლი“, „ბრინჯაო“ და გუნდური გამარჯვება – ასეთია ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართულ ევროპის თასის გათამაშებაში ახალგაზრდა ქართველ ძიუდოისტ ვაჟთა მიერ ნაჩვენები ღირსეული შედეგი.

„ოქრო“ – გიორგი სარდალიშვილი (+60), გიორგი შერაზადიშვილი (81);

„ვერცხლი“ – ნიკა ხარაზიშვილი (90), მიხეილ ჯაფარიძე (100);

„ბრინჯაო“ – ლაშა მღებრიშვილი (90), საბა კამლაძე (+100). დავძენთ, რომ ტატამზე 27 „ჯვაროსანი“ გამოვიდა.

◎ მწვრთნელი

ისევ ნბა-ში

ჩვენი ძველი მოკეთე **იგორ კოკოშკოვი** სლოვენიის საკალათბურთო ნაკრებში ევროტრიუმფის შემდეგ გასულ სეზონში ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძოდა მორიგი წარმატებების მოსაპოვებლად, მაგრამ ვერც „ფენერბახჩეში“ მოიხვეჭა საკლუბო ტიტული და ვერც მშობლიური სერბეთის გუნდი გაიყვანა ტოკიოს ოლიმპიადაზე.

ამ დღეებში გაირკვა, რომ ნბა-ში 20-წლიანი მოღვაწეობით დაფასებულ 49 წლის სპეციალისტზე ოკეანის გაღმა ისევ დიდი მოთხოვნილებაა და იგი ამიერიდან „დალასის“ ახალ თავკაც ჯეისონ კიდის ასისტენტად იმუშავებს.

◎ 64

რჩეული ეტიუდები და ამოცანები

წარსულის მიღწევათა გათვალისწინებით

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხოლოდ ვარჯიშით და მოწადინებით დიდ წარმატებას ვერ მიაღწევ. დიახ, როგორც გალაკტიონი ბრძანებდა ნიჭი, – ძამიკო, ნიჭი!

თანამედროვე ეტიუდის განვითარება დაკავშირებულია გერმანული საჭადრაკო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების – **იოზეფ კლინგის** (1811-1876) და **ბერნარდ ჰორვიცის** (1807-1885) ნიჭის გამოშუქებასთან.

კლინგი თანამედროვე ეტიუდის ენდშპილის საიდუმლოებების მესაძირკვლეა, სპეციალობით მუსიკის პროფესორმა და ფილოლოგმა თანამოაზრე ჰორვიცთან ერთად დაგვიტოვა კლასიკური ენდშპილის საინტერესო ნიმუშები და პირველმა განახორციელა ეტიუდებში უძრავი ფიგურების ე. წ. „ამოქოლვის“ იდეა.

მათ მიერ დამუშავებულმა მარტივმა პოზიციებმა მძლავრი იმპულსი მისცა საეტიუდო ხელოვნების შემდგომ პროგრესს.

ამ საეტიუდო ხელოვნების გათვალისწინებით შესანიშნავი კომპოზიციები შექმნა ქართული საკომპოზიციო ხელოვნების უპირობო ლიდერმა, ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა, ბ-ნმა **დავით გურგენიძემ**.



იმდენად მიმზიდველად და გონებამახვილურად არის განვითარებული წინაპრების იდეა შემოთავაზებულ ეტიუდში, გაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი დიდოსტატის ნაწარმოები საგრძნობლად ანვითარებს წარსულის ნიმუშებს და ადასტურებს, რომ დროთა მსვლელობა ვერაფერს დააკლებს ეფექტური მანევრების ჩანაფიქრს.

მოამზადა
თამაზ შენგელია

დროთა მსვლელობა ვერაფერს დააკლებს

ვისწავლოთ ენდშპილი

I



მოგება

II



ყაიმი

I. 1. ეc8 მფd2 2. ედ8 მფe2 3. e8 მფf2 4. ეf8 მფg1 5. ეg8მფh1 II. 1. ეh8მფg7 2. კf6მფf6 3. ეf8მფe5 4. ეf1მფd4 5. მფg4 მფc3 6. მფf5მფc2 7. ეf2 მb1 8. ეf4 მფc2 9. ეf2 მფb1 10. ეf4მფa2 11. ეa4

შენიშვნა: როგორც ხედავთ, თეთრმა მეფემ ეტლს დათვური სამსახური გაუწია.

◎ ევრო ტურნირები

ოთხი წლით

ევროპული და სამხრეთამერიკული სანაკრებო ფორუმების შემდეგ უეფამ პოპულარული კონტინენტური საკლუბო ტურნირებიც გაიხსენა და უახლოეს ოთხ წელიწადში გასამართავი ფინალური მატჩების მასპინძელი ქალაქები დაადგინა. აი, ისინიც:

ჩემპიონთა ლიგა

2022 – სანკტ პეტერბურგი, 2023 – სტამბოლი, 2024 – ლონდონი, 2025 – მიუნხენი.

ევროპა ლიგა

2022 – სევილია, 2023 - ბუდაპეშტი, 2024 – დუბლინი, 2025 – ბილბაო.



დათო დათოშვილი, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, იმედა კახიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ადამიანი, ღირსეული მამულიშვილი

თამაზ ყაჭეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს.

ვახტანგ ვეფხვაძე, ოთარ ბრეგვაძე, შალვა მგალობლიშვილი, თენგიზ (მიჩურინა) ქოიავა, ივა ბერაძე ოჯახებით იუწყებიან

თამაზ ყაჭეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვახტანგ ნიკურაძე ოჯახით იუწყება ძვირფასი ბიძის

თამაზ ყაჭეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ვერაგმა პანდემიამ კიდევ ერთი მეგობარი გამოგვაცალა ხელიდან. გარდაიცვალა შესანიშნავი მხატვარი, თბილისისა და საახლობლოს ერთგული, სიყვარულით გულდათუთქული ქართველი, ჭეშმარიტი პიროვნება

გია ლომიძე

უახლოესი მეგობრები დალი ხუნდაძე, ოთარ ტურაბელიძე, მალხაზ დვალი, მამუკა ვაშაკიძე, ნუგზარ (ბუძა) ცხოვრებაშვილი სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და სანათესაოს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1968-69 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკურსელის

სვეტა გაბუნიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება კოსტავას ქუჩა. დაკრძალვა 22 VII, ქ. ფოთში.

თანაკურსელთა სახელით
ბადრი ბარკალაია

ავთანდილ გასვიანი

დღეს სიკვდილი ისე მოგვიშინაურდა, ამ წუთისოფლიდან ადამიანის გასვლა თითქოს ისე აღარც განიცდება... მაგრამ ეს — მხოლოდ ერთი შეხედვით... ადამიანები ამ ცხოვრებიდან კვლავაც მტკივნეულად მიდიან და ამოუვსებ სიცარიელეს უტოვებენ ოჯახის წევრებს, ახლობლებს, კოლეგებს.

ავთანდილ გასვიანი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც ამ ბოლო ხანებში შეიწირა ვერაგმა „კოვიდმა“. საქართველოს ფარმაცევტულმა საზოგადოებამ მისი სახით გამორჩეული სპეციალისტი, პროფესიონალიზმითა და ცხოვრების წესით ბევრისთვის სანიმუშო პიროვნება, საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული ქართველი ვაჟკაცი დაკარგა.

ვინც მას იცნობდა, დამეთანხმებით, რომ იშვიათად შეხვედრია მასავით საიმედო და უღალატო ადამიანი, თანამშრომელთა პროფესიული ღირსებებისა და კეთილსინდისიერების ასე დამნახავი თუ დამფასებელი ხელმძღვანელი. ცოტა ვინმეს თუ გამოსვლია მისნაირად მეგობრობა, სხვისი გასაჭირის მოზიარეობა, მოყვასის ქომაგობა, დაჩაგრულის გვერდში დგომა და მფარველობა.

ავთო ულამაზესი ოჯახის მამა და მეგობრების სული და გული იყო. მთელი ცხოვრება სიყვარულს სთესდა და სიყვარულს იმკიდა, იმქვეყნიურ საგზლადაც მხოლოდ სიყვარული ინდომა.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს ჩვენო ტკბილო მეგობარო!.. უფლის დალოცვა და შენი მოყვარული ადამიანებისგან დანთებული წმინდა სანთლები გინათებდეს მარადიული სასუფევლის გზას.

მეგობრების სახელით

რეზო ნემსაძე, კამო ჩიკაშუა, გიკა საყვარელიძე, რომან მახარაძე, ვახტანგ ქავთარაძე, გურამ ელიზბარაშვილი, ჯონი გოგიბერიშვილი, ვიქტორ ახობაძე, ჟორა საღარაძე, მურმან მაჩიტიძე.

ყირგიზეთიდან ბათუმის მიმართულებით ფრენები დაიწყო

ავიაკომპანია Air Manas პირდაპირ ფრენებს ბიშკეკიდან ბათუმის მიმართულებით ზაფხულის განმავლობაში, ყოველ შაბათს შეასრულებს. ტურისტებთან ერთად პირველ ავიარეისს ბათუმში ყირგიზული ტურსააგენტოების წარმომადგენლები ჩამოყვნენ.

ბათუმის ძირითადი ტურისტული ღირსშესანიშნაობებისა და სასტუმრო ინფრასტრუქტურის დათვალიერების შემდეგ მათთვის აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრაზე აჭარის ტურისტულ პროდუქტებზე, მიმართულებებსა და რეგიონში ტურიზმის კუთხით მიმდინარე პროექტებზე გაკეთდა აქცენტი.

რეგიონში ვიზიტისას ინფოტურის მონაწილეები ადგილობრივი ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებს შეხვდნენ და ურთიერთანამშომლობის საკითხები განიხილეს. ისინი მთიან აჭარასაც სტუმრობდნენ, სადაც ადგილობრივი კერძები დააგემოვნეს და ფოლკლორ შოუს დაესწრნენ.

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი თანამშრომელი, საქმეთა მმართველი, ღვაწლმოსილი მუშაკი

ზურაბ უკლება

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის, საქართველოს განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილის, ღირსეული მამულიშვილის

თამაზ ტატიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს,ნათესავ-ახლობლებს და მის დიდ სამეგობროს. დაკრძალვა 22 VII, 15 სთზე, გამოსვენება ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა ძირძველი კოლხის ოჯახისშვილი, სკოლის მეგობარი, კეთილშობილი პიროვნება, ფოთელების საზოგადოების წევრი

ზაურ პაჭკორია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საზოგადოების სახელით: **სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, გულთაზ ლაბარტყავა, ჯემალ კვირტია, ლია წურწუმია, იური ალანია, ბესლან ქორქია, პეტრე ბერაია, ვახტანგ ჩიქოვანი, გია სვანიძე, თენგიზ უჩანეიშვილი, იგორ მამალაძე, გოგი მელიქია, ვაჟა ბასილია, გეგუ მუშკუდიანი, ზურაბ ხუნჯუა.**

განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.
ვებ-გვერდი: www.geomedi.edu.ge
ელ.ფოსტა: info@geomedi.edu.ge
ტელ.: 2 75 25 20

„ქურდულ სამყაროსთან“ კავშირისთვის 8 პირი დააკავეს

მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისსა და მარნეულში 8 პირი დააკავეს, — ინფორმაციას შსს ავრცელებს. ყველა მათგანი: 1969 წელს დაბადებული პ. გ. (მეტსახელად „პალიკო“), 1980 წელს დაბადებული ზ. გ. (მეტსახელად „მუხო“), 1964 წელს დაბადებული ჯ. გ. (მეტსახელად „ჯამა“), 1995 წელს დაბადებული ვ. გ., 1983 წელს დაბადებული დ. დ., 1991 წელს დაბადებული დ. ა., 1983 წელს დაბადებული ვ. გ. (მეტსახელად „ლაპუხა“), 1963 წელს დაბადებული ა. ო. „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებით არის დაკავებული.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთ მოქალაქეს ბრალდებულ ა.ო.-სთან,პროცენტიან სესხთან დაკავშირებით, ფინანსური დავა წარმოექმნა. ა.ო., სადავო საკითხის „ქურდული წესების“ შესაბამისად, განხილვისა და დავის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, ერთ-ერთი ბრალდებულის — დ.ა.-ს მეშვეობით დაუკავშირდა „ქურდული სამყაროს“ წევრებს, ასევე ბრალდებულებს. აღნიშნულმა პირებმა ა.ო.-ს საკუთარი მატერიალური სარგებლის მიღების სანაცვლოდ, დახმარება აღუთქვეს. ბრალდებულებმა 2021 წლის აპრილსა და მარტში, თბილისში, ერთ-ერთ უბანში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ფინანსური დავის „ქურდული წესით“ გარჩევა მოაწყვეს. დავის „ქურდული წესით“ გარჩევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაზარალებული მოვალისგან — ა.ო.-სგან სადავო თანხას — 26 ათასი აშშ დოლარს ვერ მიიღებდა, რადგან მისი საქმიანობა „ქურდული სამყაროს“ წესებს არ შეესაბამებოდა“, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

ᲐᲣᲓᲘᲝ-ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲖᲝ - ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ“...

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ – ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ“ ფარგლებში, ჯანსულ კახიძის 10-ში, „არტარეისა“ და თბილისის მერიის თანამშრომლობით, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 160 წლის იუბილესადმი მიძღვნილი აუდიო-მუსიკალური საღამო, „თბილისური ეზო – ვაჟა-ფშაველა“ გაიმართა. ღონისძიებას დედაქალაქის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია დაესწრო.

თბილისის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ღონისძიების შინაარსი აგებული იყო თენგიზ აბულაძის „ვედრების“ სიუჟეტზე, რომელიც, ვაჟა-ფშაველას ორ ნაწარმოებს, „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელს“ ეფუძნება. მუსიკალური ნაწილი ნოდარ გაბუნიასა და სოსო ბარდანაშვილის კომპოზიციებსა და ფილმის მუსიკას შეიცავდა. მუსიკა შეასრულეს გიორგი ცაგარელმა, ნიკოლოზ რაჭველმა, ნატო მეტონიძემ, Zagareli & Strings-მა და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსებმა. საღამოს საუნდ დიზაინერი იყო ნიკა მაჩაიძე.

საღამოს მოდერატორი იყო ლევან ბერძენიშვილი, რომელმაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობასა და მწერლის მსოფლმხედველობაზე ისაუბრა. სტუმრებმა ასევე მოისმინეს ვაჟა-ფშაველას შესახებ სხვადასხვა უცნობი ისტორიები და ნაწყვეტები მისი შემოქმედებიდან. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ისრაელის ელჩი საქართველოში რან გიდორი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარიკა დარჩია. „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ UNESCO-ს პროექტია, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის გენერალური სპონსორია საქართველოს ბანკი.



ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ...

ᲤᲝᲗᲘᲡ ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა.

„სტუმრად ქართული თეატრი სამეგრელო-ზემო სვანეთში“ – ასე ეწოდება პროექტს, რომლის ფარგლებშიც ფოთის თეატრმა მოიარა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სოფლები და თეატრს მონატრებულ პატარა მაყურებელს ცხელი ზაფხული გაულამაზა. პროექტის ფარგლებში ფოთის თეატრმა 20 სოფელში მოაწყო საგასტროლო ტურნე და პატარა მაყურებლის წინაშე თეატრალური წარმოდგენები გამართა.

„იცით, არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ პატარა მაყურებელი აღუზარდო თეატრს, აჩვენო მაღალი თეატრალური პროდუქტი და აზიარო თეატრალურ ხელოვნებას. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამყარო პანდემიით გამოწვეულ შედეგებს ებრძვის. პატარა მაყურებელი განსაკუთრებით რეგიონებში მოკლებულია თეატრალურ ცხოვრებას და ამ პროექტით ჩვენ ვეცადეთ, გაგველამაზებინა მათთვის თუნდაც ერთი ჩვეულებრივი დღე. ამისათვის დიდ მადლობას ვუხდი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს თეა წულუკიანს. თეატრის შემოქმედებითმა და ტექნიკურმა ჯგუფმა ბევრი იშრომა და ეს შრომა ჩვენი მომავალი თაობის ბედნიერებისათვის ნამდვილად ღირდა“, – განაცხადა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რამაზ იოსელიანმა.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, ქვეყანაში ვირუსის ახალი შემთხვევების რაოდენობის ზრდის გამო, მოსახლეობას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ აიცრან. ამერიკის დაავადებათა კონტროლის ინფორმაციით, ბოლო 30 დღის განმავლობაში ვირუსის ყოველდღიური შემთხვევების რაოდენობა თითქმის გასამმაგდა.

18 ივნისიდან 18 ივლისამდე დროის პერიოდში, ქვეყანაში „კოვიდ-19“-ის შემთხვევების რაოდენობა 12 000 დან 32 ათასამდე გაიზარდა. გაზრდილია საავადმყოფოში მიმართვიანობის მაჩვენებელიც.

�პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲕᲨᲝᲠᲓᲔᲑᲘᲗ...

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ მსოფლიო ორგანიზაციის წამყვანი მეცნიერის, COVID-19-თან ბრძოლის ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელის მარია ვან კერკხოვეს განცხადებით, მსოფლიო სულ უფრო და უფრო შორდება კორონავირუსის პანდემიის დასასრულს.

მისივე თქმით, პანდემიას კიდევ უფრო ახანგრძლივებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ვირუსის ახალი შტამების გაჩენა, პრევენციული ზომების შეუსრულებლობა და ვაქცინების ნაკლებობა.

„ჩვენ ძალიან საშიშ სიტუაციაში ვართ. სიტუაცია უფრო და უფრო რთულდება და ჩვენ ამ პანდემიის დასრულებასთან სულ უფრო და უფრო შორს ვართ“, – თქვა კერკხოვემ. COVID-19-თან ბრძოლის ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გასული კვირის განმავლობაში მსოფლიოში დაავადების ახალი შემთხვევების რიცხვი 11,5 პროცენტით, ხოლო სიკვდილიანობა 1 პროცენტით გაიზარდა. მისივე თქმით, ევროპაში ახალი შემთხვევების რაოდენობა 21%-ით გაიზარდა, ხოლო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში – 30%-ით.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ დედაქალაქში, ვენაში ამერიკელ დიპლომატებსა და საელჩოს ადმინისტრაციის თანამშრომლებს უცნობი დაავადება აქვთ. შემთხვევების შესახებ პირველად პარასკევს ჟურნალმა „ნიუ-იორკერმა“ დაწერა, მოგვიანებით ინფორმაცია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაადასტურა. შემთხვევას, რომელიც ე.წ. „ჰავანის სინდრომს“ ჰგავს, ამერიკის ხელისუფლება იძიებს.

ავსტრიის საგარეო უწყება აცხადებს, რომ ამერიკელ სამართალდამცველებთან მჭიდრო თანამშრომლობას აპირებენ, რომ ერთობლივად გამოიძიონ დაავადებების მიზეზი. 20-ზე მეტ მაღალჩინოსანს „ჰავანის სინდრომის“ მსგავსი დაავადება მას შემდეგ დაემართა, რაც პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გახდა. სინდრომი, ჯერჯერობით, ამოუხსნელია, თუმცა ამერიკელი მეცნიერები ამბობენ, რომ ეს, შესაძლებელია, მიმართული მიკროტალღური გამოსხივების შედეგი იყოს. სინდრომი პირველად კუბაში, 2016-2017 წლებში დაფიქსირდა. ჰავანაში ამერიკელ და კანადელ დიპლომატებს ჰქონდათ ძლიერად გამოხატული სიმპტომები – თავბრუხვევა, ბალანსის დაკარგვა, სმენის დაქვეითება, შფოთვა. მაშინ ამერიკამ კუბა „ბგერით თავდასხმაში“ დაადანაშაულა, რასაც ჰავანა კატეგორიულად უარყოფდა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲦᲐᲛᲣᲠᲐᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲛᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ მაიმუნის ვირუსით ადამიანის გარდაცვალების პირველი შემთხვევა დადასტურდა.

გავრცელებული ინფორმაციით, 53 წლის მამაკაცი, რომელსაც მაიმუნის B ვირუსი (BV) დაუდასტურდა, პეკინში, პრიმატების შემსწავლელ ინსტიტუტში მუშაობდა.

„მიუხედავად იმისა, რომ მეორადი გადაცემის რისკი მინიმალურია, ადრე ჰერპესის B ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის ერთი შემთხვევა დაფიქსირდა“, – ნათქვამია ჩინეთის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის განცხადებაში. მაიმუნის B ვირუსი (BV) 1932 წელს იყო გამოყოფილი და ინფიცირება მაიმუნთან პირდაპირი კონტაქტის შედეგად არის შესაძლებელი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
ე. ბაღდავაძის №3

ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.10761; ᲔᲕᲠᲝ - 3.6592;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.2596;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.1667; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3625;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8253;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.2971.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+21,	ᲓᲦᲔ	+40
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+17,	ᲓᲦᲔ	+37

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+21,	ᲓᲦᲔ	+36
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+19,	ᲓᲦᲔ	+37
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+25,	ᲓᲦᲔ	+38

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge